გაზეთი ბიჭვინთა, „ვერსიათ“ ერთი

ვერსია

№34 (1576) 22 - 28 სექტემბერი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ევროპაში „მოღვაწე“ ქართველმა „კანონიერმა ქურდებმა“ ნიკა კვარაცხელიას მკვლელების მოკვლის ბრძანება გასცეს

ტოტალური დექართველიზაცია – ოკუპირებული გალის სკოლებში ქართულ ენაზე სწავლა აკრძალეს

რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ პრობლემის მოსაგვარებლად – ექსპერტების შეფასებები

„ეს თვითმკვლელობამდე მიყვანის მცდელობაა“ – ამირან სალუქვაძე ფარული ჩანაწერების სკანდალზე

„საქმე მასშტაბურ, წინასაარჩევნო მანიპულაციებთან გვაქვს!“

სამხედრო ოფიცერმა სამართალდამცავი მოკლა

მძევლად აყვანილი ხორცის საწარმოს დირექტორი და ჩაფლავებული ყაჩაღობა

როგორ გადაურჩა სექსუალური მანიაკი დახვრეტას

სპეცსამსახურების საიდუმლო აგენტურის სკანდალური ანატომია

არსებობენ თუ არა ყოფილი აგენტები და რატომ არ ვიღებთ ლუსტრაციის კანონს

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორი ცესკო-ს თავმჯდომარეს შეხვდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორი, ივანე პაპიაშვილი და პრორექტორი, თემურ მაღრაძე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, გიორგი კალანდარიშვილს, თავმჯდომარის მოადგილეს, გიორგი სიორიძესა და საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ხელმძღვანელს, ნათია ზაალიშვილს შეხვდნენ.

შეხვედრის ფარგლებში, ყურადღება გამახვილდა არჩევნების უსაფრთხო და მშვიდობიან გარემოში ჩატარებაზე, ასევე, სამართალდამცავ ორგანოებსა და საარჩევნო ადმინისტრაციას შორის ეფექტიანი კომუნიკაციის მნიშვნელობაზე. შსს-ს აკადემიის რექტორმა, ივანე პაპიაშვილმა და ცესკო-ს თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილმა, არჩევნების უსაფრთხოების საკითხებზე პოლიციელებისა და საარჩევნო კომისიების წევრების ინფორმირების უზრუნველსაყოფად, კომპეტენციის ფარგლებში განსახორციელებელი თანამშრომლობის მექანიზმები განიხილეს.

რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორმა, ნათია ზაალიშვილმა შსს-ს აკადემიასთან პარტნიორობით განსახორციელებელი საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა – „არჩევნები და უსაფრთხოება“ წარადგინა, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში და კენჭისყრის დღეს, საარჩევნო პროცესის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რისკების იდენტიფიცირების, პრევენციული ღონისძიებებისა და დარღვევებზე რეაგირების მექანიზმების შესახებ საკანონმდებლო რეგულაციების განხილვას მოიცავს. პროგრამაში მონაწილეობას მიიღებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მენეჯერული რგოლის თანამშრომლები. საინფორმაციო შეხვედრები 17-18 სექტემბერს, ონლაინ-ფორმატში წარიმართება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში სამართალდამცველებისთვის ანალოგიური პროგრამა, ცოდნის გაღრმავების, ცნობიერების ამაღლებისა და საარჩევნო პროცესში მათზე დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად შესრულების მიზნით, გასულ წელს, საპარლამენტო არჩევნების წინაც ჩატარდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი 11 პირი დააკავა, ოთხი კი პასუხისგებაში მისცა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოსა და შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად ჩატარებული კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, გორსა და ხაშურში 11 პირი დააკავეს, ოთხი პირის მიმართ კი სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო

„ქურდული სამყაროს“ წევრობის, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისა და „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვის ბრალდებით დაკავებული არიან: 1985 წელს დაბადებული შ.მ., 1988 წელს დაბადებული ნ.მ. (მეტსახელად, „რიჟოვიჩი“), 1963 წელს დაბადებული კ.ნ., 1964 წელს დაბადებული ბ.გ. (მეტსახელად, „პაპლიკა“), 1987 წელს დაბადებული ა.ც. (მეტსახელად, „მღვდელოვიჩი“), 1990 წელს დაბადებული გ.რ. (მეტსახელად, „წერტილა“), 2002 წელს დაბადებული ო.მ. (მეტსახელად, „ომო“), 1999 წელს დაბადებული ბ.მ., 1974 წელს დაბადებული გ.გ., 1972 წელს დაბადებული ზ.ნ. და 1996 წელს დაბადებული ბ.ა.

ამავე დანაშაულებისთვის ბრალი წარედგინებათ: 1990 წელს დაბადებულ ა.ა.-ს (მეტსახელად, „ბოთე“), 1983 წელს დაბადებულ მ.მ.-ს (მეტსახელად, „ჩაინიკა“), 1998 წელს დაბადებულ პ.ბ.-ს (მეტსახელად, „პაწე“) და 1989 წელს დაბადებულ შ.ქ.-ს (მეტსახელად, „ტყუპა“). დანაშაულები 3-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. კომპლექსური გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნული პირები აღიარებდნენ „ქურდულ სამყაროს“ და აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა დანაშაულებრივ საქმიანობაში. კერძოდ, ისინი სისტემატურად მონაწილეობდნენ „ქურდულ გარჩევებში“ და ე.წ. კანონიერი ქურდების დავალებით, „ქურდული სამყაროს“ მიზნების განსახორციელებლად და მატერიალური სარგებლის მისაღებად, მოქალაქეებს ფულს და ძვირადღირებულ ავტომანქანებს ართმევდნენ.

ბრალდებულები, მოქალაქეებს შორის არსებული ფინანსური დავების მოგვარების, სადავო საკითხების „ქურდული წესების“ შესაბამისად განხილვისა და მათი თავიანთ სასარგებლოდ გადაწყვეტის მიზნით, უცხოეთში მყოფი ე.წ. კანონიერი ქურდის, „ტერტერას“ დავალებით, არაერთ საქმეში ჩაერთნენ. „ქურდული გარჩევის“ შედეგად, ბრალდებულები ფინანსურ დავებს „ქურდული სამყაროს“ წესების შესაბამისად წყვეტდნენ და მოდავე მხარეებიდან ერთ-ერთს, სადავო თანხის მიტანას აიძულებდნენ.

გარდა ამისა, ბრალდებულებმა – „ქურდული სამყაროს“ წევრებმა, ე.წ. კანონიერი ქურდის, „ტერტერას“ დავალებით, ასევე, „ქურდული სამყაროს“ წევრს, მეტსახელად, „ჩაინიკას“, თავისი კუთვნილი ავტომანქანა წაართვეს. მოგვიანებით კი, აღნიშნული მანქანის დაბრუნების მიზნით, „ქურდული გარჩევა“ მოეწყო, რომელშიც „ქურდული სამყაროს“ წევრი, მეტსახელად, „რიჟოვიჩი“ მონაწილეობდა. „ქურდული გარჩევის“ შედეგად, ავტომანქანა „ჩაინიკას“ დაუბრუნდა. აღნიშნულმა პირებმა კუთვნილი ავტომანქანა წაართვეს ერთ-ერთ მოქალაქეს, რომელსაც „ქურდული გარჩევის“ შემდეგ, კუთვნილი მანქანა გარკვეული თანხის სანაცვლოდ დაუბრუნეს.

სამართალდამცველებმა ჩატარებული ჩხრეკებისას ნივთმტკიცებად ამოიღეს: კომპიუტერული ტექნიკა და ბრალდებულების მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს და საზღვარგარეთ მყოფ ქართველ „კანონიერ ქურდს“ უკავშირდებოდნენ. ასევე, ამოღებულია დანაშაულებრივი გზით მოპოვებული, „მერსედესის“ მარკის ავტომანქანა და 15 ათასი დოლარი, „მაგნუმის“ და „კოლტის“ სისტემის ორი ცეცხლსასროლი იარაღი, ჯავშანჟილეტი და საბრძოლო ვაზნები.

„ქურდული სამყაროს“ წევრობის, „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვისა და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტებზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, 223-ე მე-3 პრიმა მუხლის მეორე ნაწილითა და 223-ე მე-4 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა მინისტრი საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს, სხვადასხვა ქვეყნის ელჩებსა და საელჩოების წარმომადგენლებს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან, კარლ ჰარცელთან, ასევე, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებსა და საელჩოების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ავსტრიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთის, იტალიის, ლატვიის, ლიეტუვას, პოლონეთის, შვედეთის სამეფოსა და სლოვენიის ელჩები, აგრეთვე, ბელგიის სამეფოს, ბულგარეთის, ესპანეთის სამეფოს, საბერძნეთის, უნგრეთისა და ნიდერლანდების სამეფოს საელჩოების წარმომადგენლები. შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა განიხილეს 2 ოქტომბრის მოახლოებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და საარჩევნო პროცესის უსაფრთხო და თავისუფალ გარემოში ჩატარების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ამოცანაა, ქვეყნის მასშტაბით მართლწესრიგის დაცვა და არჩევნების თავისუფალ, დემოკრატიულ, უსაფრთხო გარემოში ჩატარების უზრუნველყოფა. მისივე თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტრო არჩევნებთან დაკავშირებული დანაშაულის პრევენციისა და ეფექტიანი რეაგირების მიზნით, კანონით გათვალისწინებულ შესაბამის ღონისძიებებს ახორციელებს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ევროპელ პარტნიორებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა მიმდინარე წლის 5-6 ივლისს, თბილისში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, სამინისტროს მიერ ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შესახებ.

შეხვედრის დასასრულს, ვახტანგ გომელაურმა ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელს და ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან აქტიური და მჭიდრო თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.

პოლიციამ არასრულწლოვნების მიმართ ჩადენილი მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოსა და დიდუბე ჩუღურეთის მთავარი სამმართველოების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 2007 წელს დაბადებული ლ.მ., არასრულწლოვნების მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 13 სექტემბერს, თბილისში დაკავებულმა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით მრავლობითი ჭრილობები მიაყენა 2007 წელს დაბადებულ გ.ბ.-ს., 2006 წელს დაბადებულ ბ.ხ.-სა და 2006 წელს დაბადებუ გ.მ.-ს. პოლიციამ ლ.მ., მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა, ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლით მიმდინარეობს,რაც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

სპეცსამსახურების საიდუმლო აგენტურის სკანდალური ანატომია

არსებობენ თუ არა ყოფილი აგენტები და რატომ არ ვიღებთ ლუსტრაციის კანონს

ნინო დოლიძე

კვირაზე მეტია, საქართველოში ე.წ. ფარული ჩანაწერების ახალი სკანდალია. ამ ეტაპზე, უცნობია, კრებსები ავთენტურია თუ არა, მაგრამ გამოძიება დაწყებულია და იმედია, ყველაფერი გაირკვევა. მანამდე კი „ვერსიას“ უშიშროების ყოფილი თანაშრომელი იმის შესახებ ესაუბრა, თუ როგორ მუშაობს აგენტურული ქსელი. ჩვენი რესპონდენტი, გარკვეული მიზეზების გამო, ვინაობას არ ასაჯაროვებს და არც ე.წ. შიდა აგენტურაზე საუბრობს, რადგან თვლის, რომ ამაზე მახვილის გაკეთებამ, შესაძლოა, საზოგადოებაში დიდი პოლარიზაცია გამოიწვიოს. შესაბამისად, უშიშროების ყოფილი თანამშრომელი აქცენტს უცხო ქვეყნის, ასევე, საბჭოთა სპეცსამსახურის ფარულ თანაშრომლებზე აკეთებს და იმის შესახებაც საუბრობს, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ ადამიანების გამოვლენა.

– აგენტის გამოვლენა როგორ ხდება?

– ამაზე სპეცსამსახურებმა უნდა იზრუნონ.

– ანუ აგენტის გამოვლენის მზა რეცეპტი არ არსებობს?

– არა... საერთოდ, კონტრდაზვერვა ერთჯერადი აქტი კი არა, პროცესია...

– ისე, რომელიმე უცხო ქვეყნის აგენტი გამოგივლენიათ?

– ფაქტზე არავინ დამიკავებია, მაგრამ არსებობდა ფიქსირებული ფაქტები ანუ ვიდეო-აუდიო მასალები, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ესა თუ ის პირი რუსეთის სპეცსამსახურებთან კავშირზე იმყოფებოდა. შესაბამისად, მის მიმართ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ვატარებდით.

– „პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება“ რას მოიცავს?

– თუ ასეთ „ტიპი“ სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობს, მისი ჩამოცილება უნდა მოხდეს, რითაც აგენტის გავლენა შემცირდება და ძირგამომთხრელი საქმიანობის შანსიც ნაკლები იქნება.

– უცხო ქვეყნის აგენტი, უეჭველად, სახელმწიფო სამსახურში უნდა მსახურობდეს?

– არა, მაგრამ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურისთვის აგენტი ღირებული მაშინაა, როცა მას საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომა აქვს და მისი დამუშავება შეუძლია...

– აგენტურაში ე.წ. დონეები არსებობს – ვთქვათ, პირველი კლასის აგენტი და ასე შემდეგ?

– არა... სპეცსამსახური ჩვეულებრივი კონფიდენციალური წყაროს, გნებავთ, აგენტის გარეშე ვერ იარსებებს, თუმცა არსებობს გარკვეული გრადაცია – არსებობენ ერთჯერადი ინფორმაციის მომპოვებელი აგენტები, ასევე, „დამუშავებაში შესაყვანი“ აგენტები და ასე შემდეგ... მთავარი ოპერატიული კავშირის დამყარება არაა – შეიძლება, ადამიანი გადაიბირო, მაგრამ თუ არ აღზარდე ანუ არ ასწავლე, ინფორმაცია როგორ უნდა მოიპოვოს და დაამუშაოს, არაფერში გამოგადგება. ასევე, აგენტმა ის მეთოდიც უნდა იცოდეს, თუ როგორ არ უნდა „გაიშიფროს“...

– ყოფილი აგენტები არსებობენ?

– არა... არსებობს ტერმინი „არქივული აგენტი“ – თუ ადამიანი გარდაიცვალა, ან რაღაცის გამო აღარ მუშაობს, სპეცსამსახური ურთიერთობას წყვეტს, თუმცა მის საქმეს აარქივებს...

– აგენტი სპეცსამსახურმა, შეიძლება, მხოლოდ ერთხელ გამოიყენოს და „შეეშვას“?

– არა... სხვათა შორის, სააკაშვილის ხელისუფლებაში, საბჭოთა სუკ-ის არაერთი „არქივული აგენტი“ იყო და ვინმე დამარწმუნებს, რომ „კა გე ბე“-ს სამართალმემკვიდრე „ეფ ეს ბე“ მათ არ იყენებდა? ისე, „დუბლიაჟიც“ ხდებოდა.

– ეს რაღაა?

– იმ საქმის ერთი „დუბლიკატი“, რომელიც საქართველოში იკერებოდა, მოსკოვში იგზავნებოდა და იქ ინახებოდა. ამიტომაც ვამბობ, ვერავინ დამარწმუნებს, რომ „ეფ ეს ბე“ ამ „არქივულ აგენტებს“ არ იყენებს!

საერთოდ, „გე რე უ“-ს აგენტურა საქართველოს უშიშროების სამსახურისთვის უცნობია.

– „გე რე უ“, უხეშად რომ ვთქვათ, რუსეთის სამხედრო დაზვერვაა, არა?

– დიახ.

– „გე რე უ“-თან კავშირზე მხოლოდ სამხედროები არიან?

– არა... მაგალითად, „გე რე უ“-თან კავშირზე საქართველოში, რუსული სამხედრო ბაზების გარშემო მცხოვრები მოსახლეობაც იყო...

– ვიცი, მიამიტურად ჟღერს, მაგრამ მაინც უნდა ვიკითხო: აგენტს გარეგნულად რამე ეტყობა?

– რა უნდა შეეტყოს?! – არაფერი...

სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა, მუდმივად საუბრობენ, რომ საჭიროა ლუსტრაციის კანონის მიღება, რათა იგივე საბჭოთა უშიშროების ფარული თანამშრომლების შთამომავლებს სახელმწიფოსთვის მნიშნელოვანი თანამდებობების დაკავება არ შეეძლოთ (სწორედ ამ გზით წავიდა ბალტიისპირეთი), თუმცა ლუსტრაციის კანონს ვინ ჩივის, ე.წ. აგენტურის არქივები, როგორც ამბობენ, დაკარგულია.

„2004 წლის თებერვალში, როდესაც ზურაბ ადეიშვილი უშიშროების მინისტრად დაინიშნა, სააკაშვილმა ძალიან საინტერესო დავალება მისცა ახალ მინისტრს, გაეხსნა ის არქივები, რომლებსაც იმჟამად ოპერატიული მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ ეს არ მოხდა. გამოდის, რომ ქართული საზოგადოება ისევ სუკ-ის მძევალია, – აცხადებს უშიშროების ყოფილი თანაშრომელი და დასძენს, – **გასათვალისწინებელია, თუ როგორ მოქმედებენ სხვა ქვეყნებში რუსული სპეცსამსახურები, ამ ქვეყნების მიერვე გაჟღერებული ინფორმაციით. მაგალითად, თავის დროზე, ლიტვის სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტმა გაავრცელა ცნობა, რომ რუსეთის სპეცსამსახურები და პრეზიდენტის ადმინისტრაცია იწყებდა დეზინფორმაციულ ომს ლიტვის პრეზიდენტის წინააღმდეგ იმის საფუძველზე, რომ რუსეთის სპეცსამსახურების არქივებში თითქოს მოიძებნა დოკუმენტი, სადაც პრეზიდენტისა და სხვა თანამდებობის პირების შესახებ კომპრომატებზეა საუბარი. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ არქივებს ჩვენი მოწინააღმდეგე ყოველთვის გამოიყენებს“.**

„ვერსიის“ კითხვაზე, თუ როგორ იყენებენ რუსული სპეცსამსახურები ამ არქივებს საქართველოში ანუ როგორ ხდება ხალხის „დავერბოვკება“, ინკოგნიტო რესპონდენტი გვპასუხობს:

„რუსული სპეცსამსახურები ყველგან ერთი მეთოდით მუშაობენ და ამის შესახებ დოკუმენტური ინფორმაცია მაქვს. თავის დროზე, რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიისთვის განსაკუთრებით პრობლემური იყო საზღვარგარეთის ეპარქია, რომელიც რუსეთის საპატრიარქოს არ ექვემდებარებოდა, რადგან სამღვდელოება ნაწილი ემიგრაციაში წავიდა და იქ ცალკე ეპარქიები დააარსა... ამიტომ, შექმნეს სერიოზული აგენტურული ქსელი. საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, რუსეთის სპეცსამსახურები ძალიან აქტიურად მუშაობენ ამ საარქივო დოკუმენტებით. გარკვეული აქვთ, ვინ თანამშრომლობდა „კა გე ბე“-სთან. მათ შთამომავლებს კი, ვინც დღეს ემიგრაციაშია და მაღალ თანამდებობაზე მუშაობს, ამით აშანტაჟებენ!

– ანუ სპეცსამსახურების აგენტობა მემკვიდრეობითია?

– მუდამ მემკვიდრეობითი იქნება, თუ შიშის ზღვარს არ გადავლახავთ. სხვათა შორის, ბალტიისპირეთში ლუსტრაცია 1994 წელს მოხდა. ადამიანებს მისცეს გარკვეული დრო, თვითონ განეცხადებინათ, რომ სუკ-თან თანამშრომლობდნენ. რაც შეეხება ლიტვური წარმოშობის ოფიცრებს, რომლებიც ღიად მუშაობდნენ ორგანოებში, მათ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, პოლიტიკური უფლებები შეეზღუდათ.

– გამოდის, რომ გამოსავალი მხოლოდ ლუსტრაციის კანონია...

– დიახ, მაგრამ ლუსტრაციის პროცესი არ უნდა დაემსგავსოს „კუდიანებზე ნადირობას“...

– რატომ უფრთხის საქართველოს ყველა ხელისუფალი ლუსტრაციის პროცესის დაწყებას?

– ამის სურვილი მიშას ჰქონდა, მაგრამ მალე დაივიწყა. პირდაპირ კანონის მიღება არასერიოზულად მეჩვენება და დარწმუნებული ვარ, ეს საზოგადოების დაპირისპირებას გამოიწვევს. ჯერ არქივია მთავარი, რომელიც ჩვენს სინამდვილეში, ცხრათავიანი დევის სიმბოლო გახდა“.

ტოტალური დექართველიზაცია – ოკუპირებული გალის სკოლებში ქართულ ენაზე სწავლა აკრძალეს

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ პრობლემის მოსაგვარებლად – ექსპერტების შეფასებები

12 სექტემბრიდან, ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის გადაწყვეტილებით, გალის რაიონის ყველა სკოლაში სწავლა, ქართული ენის ნაცვლად, რუსულად მიმდინარეობს. ალბათ, იფიქრებთ, რომ ეს რუსიფიკატორული პოლიტიკის ლოგიკური შედეგია, მაგრამ პრობლემა იმაზე მეტად საგანგაშოა, ვიდრე წარმოგვიდგენია. გალის მოსახლეობა, ძირითადად, მეგრულად ლაპარაკობს და თუ ქართულ ენას სკოლებშიც აღარ ასწავლიან, რუსულ ენაზე გაზრდილი ახალგაზრდები რომელი ქვეყნისკენაც გაიწევენ, ალბათ, ძნელი მისახვედრი არაა, თუმცა ამ საგანგაშო პრობლემით, როგორც აღმოჩნდა, ქართველი პოლიტიკოსები დიდად არ დაინტერესებულან. სახელისუფლებო უწყებები ფაქტით კიდევ ერთხელ აღშფოთდნენ, ოპოზიციამ კი, როგორც იტყვიან, ყურიც არ შეიბერტყა.
რა ვითარებაა გალში და რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად?
– „ვერსია“ ექსპერტ-კონფლიქტოლოგს, მამუკა არეშიძეს ესაუბრა.

„ეს ამბავი რომ იგეგმებობდა, ვიცოდით, რადგან რამდენიმე წლის წინ, კლასების მიხედვით ქართული ენის შესწავლის შეზღუდვა დაიწყო. ადგილობრივები დახმარებას ითხოვდნენ და საბოლოო ჯამში, ეს შედეგი მივიღეთ. ქართული ნელ-ნელა შეამცირეს და ახლა მთლიანად გადავიდა სწავლა რუსულ ენაზე. წეღანდელი თქმისა არ იყოს, ეს რომ მოსალოდნელი იყო, გადასარევად ვიცოდით, სახელმწიფოს ვგულისხმობ და არა – კონკრეტულ პიროვნებებს, მაგრამ ვერაფერი გავაკეთეთ და მთელი უბედურებაც სწორედ ესაა.

სხვისთვის დაბრალება და იმის თქმა, საკუთარ პოლიტიკას ატარებენ და ამას როგორ ბედავენო, იოლია, მაგრამ ჩვენი გასაკეთებელი, ჩვენ ვერ გავაკეთეთ. ჩვენ თვალწინ, პრაქტიკულად, ჩვენს ტერიტორიაზე მიმდინარეობს დექართველიზაციის აქტიური პროცესი და უნდა გითხრათ, რომ ახალგაზრდების ერთი ნაწილი, რომელიც სწავლას აგრძელებს სოხუმის უნივერსიტეტში ან ჯარში მიდის, ან რაღაც ჩართულობა აქვს აფხაზურ საზოგადოებაში, ცდილობს, აფხაზი ჩაიწეროს პასპორტში. ეს ტოტალური დექართველიზაციის პროცესია, პრაქტიკულად, ჩვენს სისხლსა და ხორცს ვკარგავთ“, – აცხადებს არეშიძე.

„ვერსიის“ კიდევ ერთი რესპონდენტი, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის თავმჯდომარე, გოჩა ჯოჯუა კი ამბობს:

„ტრაგედიაა, რაც გალში ხდება, მაგრამ ამის შესახებ არც ოპოზიციამ იცის და არც – ხელისუფლებამ, რადგან ისე ჩავიკეტეთ ჩვენი პრობლემებით და იმდენად რთული გახდა ჩვენს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრება, რომ აფხაზეთი და დაკარგული ტერიტორიები ვიღას ახსოვს?! აქედან გამომდინარე, მათ საშუალება მიეცათ, ისეთი პოლიტიკა გაატარონ, როგორიც უნდათ, თორემ სინამდვილეში, საქართველომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა რომც აღიაროს, მაშინვე პრობლემა წარმოეშობათ აფხაზებს, რადგან მათი კონსტიტუცია, ფაქტობრივად, აპარტეიდულია. ის, რასაც ახლა გალში აკეთებენ, კიდევ ერთი დადასტურებაა, რომ რეალურად, მზად არ არიან, სახელმწიფო შექმნან და დამოუკიდებლად იარსებონ, რადგანაც მოსახლეობისთვის აკრძალვა იმ ენისა, რომელზეც საუბრობს, 21-ე საუკუნეში, წარმოუდგენელია.

დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციაში გვეწერა, რომ სწორედ აფხაზური და ქართულია სახელმწიფო ენები და საქმის წარმოებაც ამ ენებზე შეიძლება. აფხაზურს, ქართულის თანაბარი უფლებები ენიჭებოდა, მაგრამ როცა აფხაზი ცდილობს, დაანახოს მსოფლიოს, რომ თვითგამორკვევა უნდა და ამ დროს იმ ადამიანებს, რომლითაც დასახლებულია ეს ტერიტორია, მშობლიურ ენაზე ლაპარაკს უკრძალავს, ეს ნიშნავს, რომ ისინი მზად არ არიან, ცივილიზებულ ოჯახში ცხოვრობდნენ და ეს ძალიან ცუდია. არ მგონია, ასეთ განწყობაზე აფხაზები იყვნენ, ასეთ გარემოს ადმინისტრაცია ქმნის, თორემ აფხაზები და ქართველები, საუკუნეების განმავლობაში, ერთად ცხოვრობენ.

„ვერსიის“ მხრიდან ამ საკითხის წამოწევა იმის მაგალითია, თუ როგორ უნდა მიაწოდოს გარესამყაროს სახელმწიფომ ეს ამბავი. ამასთან, პირველ რიგში, ჩვენს ქვეყანაში უნდა დავალაგოთ სიტუაცია, რომ შევქმნათ ისეთი სახელმწიფო, სადაც ადამიანებს პერსპექტივა ექნებათ და ასეთ შემთხვევაში, იმ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებსაც ენდომებათ ერთიან სახელმწიფოში ცხოვრება. სხვა შემთხვევაში, ერთადერთი ის დაგვრჩენია, რომ დავანახოთ მსოფლიოს, ისინი როგორ იქცევიან და არ შეიძლება, ჰქონდეთ უფლება, ჩამოაყალიბონ სახელმწიფო, რადგან ამისთვის მზად არ არიან“.

ყოფილი სახალხო დამცველისა და ამჟამად არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ (DRI) ხელმძღვანელის, უჩა ნანუაშვილის აზრი კი ამ თემაზე, ასეთია:

„ზოგადად, ხდებოდა ქართული ენის შეზღუდვა აფხაზეთის ტერიტორიაზე. წლების წინ, იმ სოფლებში აიკრძალა ქართული ენა, რომლებიც გალის რაიონს ჩამოსცილდნენ და ტყვარჩელსა და ოჩამჩირეს გადაეცა. შემდეგ, ზედა ზონის სოფლებში შეიზღუდა ენა და ბოლოს, 2015 წლიდან დაიწყო ის ეტაპი, როცა სრულად გადავიდა სწავლება რუსულ ენაზე ანუ პირველკლასელებმა დაიწყეს სწავლა რუსულად. რამდენიმე წელი სჭირდებოდა, რომ ქართულენოვანი კლასები გადასულიყო რუსულ სწავლებაზე და დღეს ეს პროცესი უკვე დამთავრდა. ფაქტობრივად, დღეს გალის ტერიტორიაზე ქართულენოვანი სკოლა აღარ არსებობს. გალში ქართული ენა ისწავლება, როგორც ერთ-ერთი საგანი, საათების რაოდენობაც შეზღუდულია და ამის ხარჯზე იზრდება სხვა საგნების, მათ შორის, რუსულის სწავლების საათებიც. მთლიანობაში, ეს რუსიფიკაციის პოლიტიკაა, რომელიც გრძელდება წლების განმავლობაში და ამის შედეგიც უკვე ჩანს. ძალიან ბევრ მოსწავლეს და

ტოტალური დექართველიზაცია – ოკუპირებული გალის სკოლებში ქართულ ენაზე სწავლა აკრძალეს

მასწავლებლებსაც პრობლემები შეექმნა იმიტომ, რომ გალში რუსული არ არის საკომუნიკაციო ენა და ძირითადად, ქართულად და მეგრულად საუბრობენ, ახლა კი ყველას მოუწია გადასვლა რუსულ ენაზე ისე, რომ მზად არ იყვნენ. ამან იმოქმედა განათლების ხარისხზე, რომელიც საგრძნობლად დაეცა, ამასთან, რუსული ენის სწავლება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და ეს ხდება ქართულის ხარჯზე. ახალგაზრდობას უჭირს ქართულად მეტყველება, რაც სერიოზული პრობლემაა".

ოკუპირებული გალის მოსახლეობის ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტუდენტების გადმოდინება ქართულ უნივერსიტეტებში. იქიდან გამომდინარე, რომ გალელები ძირითადად მეგრულად საუბრობენ და ახლა სკოლებში ქართული ენა აიკრძალა, შესაძლოა, ენის ბარიერის გამო, ახალგაზრდებმა არა ქართულ, არამედ, რუსულ უნივერსიტეტებს მიმართონ. სწორედ ამ საფრთხის შესახებ საუბრობს ყოფილი სახალხო დამცველი:

„ეს პროცესი რამდენიმე წლის წინ დაიწყო, არაერთი ვიზიტი განხორციელდა გალში, განსაკუთრებით, ბოლო ორი წლის განმავლობაში, როდესაც აფხაზი და რუსი მაღალჩინოსნები სთავაზობდნენ, რომ თუკი ახალგაზრდები სოხუმში წავიდოდნენ, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მხოლოდ სწავლას კი არ დაუფინანსებდნენ, არამედ, საცხოვრებლის ხარჯებსაც აუნაზღაურებდნენ. ასე რომ, საკმაოდ შთამბეჭდავი შეთავაზებაა რუსეთისგან. ამის შედეგი უკვე ჩანს – ეს შეთავაზება არაერთმა აბიტურიენტმა მიიღო.

მართალია, საქართველო ახალგაზრდებს უნივერსიტეტებში უგამოცდოდ ჩარიცხვას სთავაზობს, მაგრამ ეს საკმარისი არაა. საჭიროა საცხოვრებლითა და დასაქმებით მხარდაჭერა. ამასთან, ქართულ დიპლომებს და საბუთებს ოკუპირებულ აფხაზეთში მთელი რიგი ე.წ. უწყებები არ იღებენ, ამიტომ ურჩევნიათ, აიღონ რუსული დიპლომი, რომელსაც უფრო მეტი გასაქანი აქვს.

ხელოვნური პრობლემები იქმნება, რომ ხელი შეეწყოს გალის რაიონის თბილისისგან მოწყვეტას, რაც შორსმიმავალი პროცესია.

სამწუხაროდ, ეს საკითხი არაა პირველხარისხოვანი პოლიტიკოსებისთვის და მხოლოდ იმ ადამიანებს აწუხებთ, რომლებსაც კონკრეტულად აქვთ შეხება. არადა, პრობლემა ნამდვილად საგანგაშოა იმიტომ, რომ თუკი აქამდე, ასე თუ ისე, შენარჩუნებული იყო ქართული ენა, კულტურა და სახელმწიფოსთან კავშირიც არსებობდა, წლიდან წლამდე, დინამიკურად ვხედავთ, რომ ვითარდება იგივე პროცესი, რაც ახალგორშია და ამ პოლიტიკის შედეგს ძალიან მალე დავინახავთ".

ნანუაშვილი „ვერსიასთან" იმ ღონისძიებებზეც საუბრობს, რომლებიც პრობლემის აღმოსაფხვრელად სახელმწიფომ უნდა გაატაროს:

„ჯერ კიდევ პანდემიამდე იყო და ახლაც არის შესაძლებელი დისტანციური სწავლების ხელშეწყობა. ზაფხულში ან საახალწლო არდადეგებზე მასწავლებლებისა და მოსწავლეების გადამზადება, რომ დანაკლისი შეივსონ და ქართული ენის ცოდნა გაიღრმავონ. ყველაფერ ამის რესურსი ნამდვილად აქვს სახელმწიფოს. ტელე-სწავლება ძალიან ბევრ ქვეყანაში არსებობს, სადაც ინტერნეტისა და ტელევიზიის მეშვეობით, შესაძლებელია მთელი რიგი პრობლემების მოგვარება, თუმცა გალში ესეც პრობლემაა – ყველას არ აქვს კომპიუტერი, ინტერნეტი კი სუსტია. გალში, პანდემიის დროს, ყველაზე მძიმე დარტყმა სწორედ განათლების სექტორმა მიიღო, რადგან ონლაინ-სწავლება იყო და ბევრს არ ჰქონდა თანამედროვე ტექნიკა. აქედან გამომდინარე, ტექნიკური დახმარებაც შესაძლებელია – კომპიუტერების, სახელმძღვანელოების გადაცემა, თუმცა ამის ნება, სამწუხაროდ, სახელმწიფოს არ ჰქონია".

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, რუსლან აბაშიძე აცხადებს, რომ ეს პროცესი დიდი ხნის წინ დაიწყო:

„ესაა ტრაგიკული რეალობა და ნაბიჯი, რომელიც იყო გადადმული ჩვენი საზოგადოების მიმართ, საოკუპაციო ძალის მხრიდან. ეს ნაბიჯი ემსახურება იმ პროცესს, რომელიც მიმდინარეობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, რუსიფიკაციასა და ძალადობას ჩვენს საზოგადოებაზე და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ჩვენ საზოგადოებას, რომელიც ცხოვრობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, დავეხმაროთ და დროულად მოვახდინოთ რეაგირება ამ საკითხებზე. სახელმწიფო და ხელისუფლება აკეთებს ყველაფერს, რომ ეს ფაქტი იყოს ასახული ჟენევის მომდევნო დისკუსიებში.

იმ ბავშვებსა და აბიტურიენტებს, რომლებიც ცდილობენ, დაიცვან თავისი ფუნდამენტური უფლება – ისწავლონ მშობლიურ ენაზე, დავეხმარებით. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ის იდეები, რომლებიც უკავშირდება დისტანციურ განათლებას ან განათლების გაგრძელებას საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, განვახორციელოთ.

არის რამდენიმე მნიშვნელოვანი ინიციატივა, პროექტი, რომელიც უკვე ხორციელდება, როგორც ცენტრალური განათლების სამინისტროს მიერ, ასევე, ამაში ჩართულია ჩვენი აფხაზეთის განათლების სამინისტროც და გარკვეული პერიოდის შემდეგ გვექნება კონკრეტული მექანიზმები იმისთვის, რომ დავეხმაროთ ბავშვებსა და აბიტურიენტებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

უკვე მოქმედებს პროგრამა – აბიტურიენტს, რომელსაც სურს, რომ გააგრძელოს განათლება აქ, ეს პროგრამა ითვალისწინებს, როგორც უფასო, ასევე, უგამოცდო შესაძლებლობას, რათა გააგრძელონ სწავლა სხვადასხვა უნივერსიტეტში"...

„ეს თვითმკვლელობამდე მიყვანის მცდელობაა“ – ამირან სალუქვაძე ფარული ჩანაწერების სკანდალზე

თათია გოჩაძე
598-43-50-34

საარჩევნო კამპანია საქართველოში კვლავ ფარული ჩანაწერების გამოქვეყნების ფონზე მიმდინარეობს – რამდენიმე დღის წინ, მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ღია ინტერნეტსივრცეში გამოქვეყნდა ჩანაწერები, რომლებიც ინკოგნიტო გამავრცელებლის მტკიცებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ფარული მიყურადების გზით მოპოვებულ ოპერატიულ მასალებს შეიცავს. გავრცელებული ინფორმაციით, საუბარია 58 000 ფაილზე, რომლებიც, სავარაუდოდ, საპატრიარქოს მაღალი იერარქიის სასულიერო პირების საქმიანობასა და პირად ცხოვრებას ეხება. ვის აწყობდა წინასაარჩევნოდ მსგავსი ჩანაწერების გავრცელება? – „ვერსია“ ექსპერტსა და ანალიტიკოსს, ამირან სალუქვაძეს ესაუბრა.

„საქმე მასშტაბურ, წინასაარჩევნო მანიპულაციებთან გვაქვს!“

„წინასაარჩევნოდ, ასეთი სიბინძურის გამოტანა ხელისუფლების წინააღმდეგ აწყობთ ოპონენტებს. როცა ხელისუფლების კანდიდატები მათ მიერ გაკეთებულ საქმეებზე ან სამომავლო გეგმებზე საუბრობენ, ამას უთვლიან ამომრჩევლის გულისმოგებად, რაც აბსურდია. იმას კი, რასაც თავად ტირაჟირებენ არჩევნების წინ (როგორც ჩანს, თვეები ინახავდნენ და არჩევნების წინ გამოაქვეყნეს), ამას არ თვლიან ამომრჩეველზე ზემოქმედებად. ასეთი სიბინძურის გარეშე, უკვე მერამდენე წელია, ოპოზიციას არჩევნების ჩატარება არ შეუძლია.

სნოუდენის მაგალითს გავიხსენებ, რომლის მიერ გავრცელებული ინფორმაციები მთელი მსოფლიოსთვის გაცილებით შოკისმომგვრელი იყო. ის, რომ სპეცსამსახურები გარკვეულ პირებს უსმენენ ყველა ქვეყანაში, ამას მიჩვეულია საზოგადოება და როცა ხარ საჯარო პირი, უნდა ფიქრობდე, რომ შესაძლოა, არა მხოლოდ შენი ქვეყნის, არამედ, სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებიც გისმენდნენ, განსაკუთრებით თანამედროვე, ციფრულ სამყაროში. მინდა, სწორად გაიგოს მკითხველმა, აქ საუბარი არ არის შესაძლო მოსმენების გამართლებაზე, ვსაუბრობ სიფრთხილეზე.

წინა ხელისუფლებამ ქვეყანაში შემოიყვანა რუსული კომპანია „ბილაინი“, რომელიც თავადაც აღიარებს, რომ თანამშრომლობს საკუთარი ქვეყნის ანუ რუსეთის სპეცსამსახურებთან. შესაბამისად, სავარაუდოდ, ამ ქსელის მომხმარებლები მუდმივად მიყურადების ქვეშ არიან“, – ამბობს სალუქვაძე.

ამირან სალუქვაძის თქმითვე, დასადგენია, რა პროცენტია გავრცელებულ ინფორმაციებში ავთენტური და რა – მოგონილი:

„ეს აუცილებელია, რადგან ვხედავთ მანიპულაციებს. მაგალითად, როცა წამყვანი ამბობს, მათნაირი არ ვარ და ვინაობას არ დავასახელებო, არადა, გადის რამდენიმე წამი და იწყებს შინაარსის მოყოლას, სახლებში მივარდნებს, ვინაობების გაჟღერებას... ამიტომ, მათ მიმართ ნდობა არ მაქვს“.

სალუქვაძის თქმით, მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია, როგორ იყენებენ ამ ჩანაწერებს სპეცსამსახურები და იყენებენ თუ არა მოსახლეობის წინააღმდეგ:

„ძალიან ცდილობს ოპოზიცია, რომ დღევანდელი ხელისუფლება წინასთან გააიგივოს. ესაა მისი პოლიტიკური მიზანი, რათა არჩევნების შედეგებზე მოახდინოს ზეგავლენა და თავადაც უკვირს, ასეთი ამბები გავავრცელე და მოსახლეობა არ ინძრევაო. არც გაინძრევა მოსახლეობა იმიტომ, რომ ამ სიბინძურეს ავრცელებს ის პოლიტიკური ძალა, რომელიც მოსახლეობისთვის მიუღებელია. მოსახლეობას არ აქვს განცდა, რაც ჰქონდა წინა ხელისუფლების დროს.

რაღაც ნიუანსებზე დაყრდნობით, მაქვს მაღალი ალბათობით ეჭვი, რომ ვინც დღეს ამას აქტიურად ავრცელებს, თავადვე ატვირთა. ჩატარდება გამოძიება და დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი დეტალი გახდება ცნობილი საზოგადოებისთვის. ჯერ უნდა დადგინდეს, ეს შეესაბამება თუ არა სიმართლეს და შემდეგ გასარკვევია, ვის ჰქონდა ამ ინფორმაციებთან დაშვება და წვდომა. წრე ძალიან ვიწროა. დაადგენს ამას გამოძიება, გვესმის, რომ ოპოზიციას არჩევნებამდე უნდა ამ სკანდალით მაქსიმალური დივიდენდების მიღება, მაგრამ ერთ დღეში, ასეთი გამოძიების ჩატარება შეუძლებელია, თუმცა რაღაც ნიუანსები, შეიძლება, არჩევნებამდეც გავიგოთ, რაც ხელისუფლებისა და სპეცსამსახურების ინტერესებშია, რათა ჩაიხსნას ამ თემის პოლიტიკური შემადგენელი“.

ამირან სალუქვაძე აღნიშნული ჩანაწერებისა და მათში არსებული პირადი მონაცემების გავრცელებაზეც საუბრობს:

„რაც შეეხება იმ საკითხს, რომ ეს ჩანაწერები ხელიდან ხელში გადადის, ვინც ყველაფერ ამას ავრცელებს, ამბობს, ეს მასალა ისევაა ატვირთული ინტერნეტში ანუ დღეს თუ ეს ჩანაწერები ხელიდან ხელში გადადის, თითქოს, მათი ბრალი კი არაა, არამედ, ინტერნეტიდან მოპოვებული მასალებია. არადა, თავად ახდენენ ამ ყველაფრის ტირაჟირებას. თუ უკანონო ჩანაწერები კეთდება, ე.ი. ეს დანაშაულია, რადგან ყველა მოსმენას არეგულირებს კანონი. მეორე მხარეა მისი გამოყენება, რაც მორალსაც უკავშირდება და კანონსაც.

როცა პირადი ხასიათის ინფორმაციას გიგზავნიან, უბრალოდ, არ უნდა გახსნა და არ უნდა გაავრცელო. ეს მორალის ამბავია. არ მაინტერესებს, ვინ ვის ელაპარაკა და ვის ვისთან რა ურთიერთობა აქვს. საინტერესოა, როგორ იყენებენ ყველაფერ ამას და თუ აქვს მოსახლეობას იმის განცდა, რომ მოქმედი ხელისუფლება ნაციონალურ მოძრაობაზე უარესია, არჩევნებზე გასცემს პასუხს. თუ ეს ასე არაა, ვიხილავთ ოპოზიციისთვის სავალალო შედეგებს.

რაც შეეხება ტირაჟირებას, პირადი ინფორმაციის შემცველი მასალების გავრცელება და ამ აჟიოტაჟის დროს ვინაობის დასახელება ან მინიშნება არა თუ ამორალურია, არამედ, ეს თვითმკვლელობამდე მიყვანის მცდელობაა! სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, გაცილებით მძიმეა იმ აჟიოტაჟის ტირაჟირება, რაც ახლა ხდება, რაზეც მორალურ პასუხისმგებლობას ვერ გაექცევიან! დარწმუნებული ვარ, ბევრი ადამიანი ფიქრობს ჩემსავით და იმიტომაც ვერ აღწევენ პოლიტიკურ მიზანს. საქართველოში თუკი ვინმემ დაიწყო მასშტაბური მოსმენები, ეს იყო ნაციონალური მოძრაობა. ამ ინფორმაციებს მოსახლეობის წინააღმდეგ იყენებდნენ და ეს განცდა იყო საზოგადოებაში. ყველას კარგად ახსოვს განცდა, როცა ბებია შვილიშვილს ვერ ესაუბრებოდა ტელეფონით. კარტოფილის საყიდლად რომ მიდიოდა ვინმე ბაზარში, ამასაც კი არა ამბობდა ტელეფონით საუბრისას. ძალიან უნდათ, იგივე განცდა შექმნან, მაგრამ ეს არ გამოუვათ“.

სალუქვაძე, ამ საკითხზე, საპატრიარქოს პოზიციასაც ეხმაურება:

„საპატრიარქომ გააკეთა განცხადება ამ საკითხზე და ის, რომ ეკლესიის წინააღმდეგაა ძირითადად მიმართული ეს პროცესი, მგონია, ამას ყველა ხედავს, თუმცა ამით ვერ დაამარცხებენ ეკლესიას“.

ექსპერტ-ანალიტიკოსი ციფრების შესახებაც საუბრობს და ამბობს, რომ გასარკვევია, ერთი ფაილი მხოლოდ ერთ ინფორმაციას გულისხმობს, თუ რამდენიმეს:

„მე აღვიქვამ, რომ ეს არის 58 000 აუდიო ჩანაწერი, გადატანილი ტექსტად, თუმცა ეს არ ვიცით. ამ ციფრის მუდმივად ტირაჟირება იმის მცდელობაა, რომ ყველას მასობრივად უსმენენ. მარტივი არითმეტიკაა, თუ, პირობითად, უსმენენ 100 ადამიანს და თუ თითომ, დღეში თითო ზარი გააკეთა, ეს 100 აუდიო ფაილია. თუ თითომ, დღეში რამდენიმე, მაგალითად, 100 ზარი გააკეთა, 10 000 ფაილს მივიღებთ. 100 ადამიანს 3-4 კვირა თუ მოუსმენ, 58 000 ფაილიც მოგროვდება და მეტიც. საქართველოში, მობილური ტელეფონის 2 მილიონი მომხმარებელია. თუ თითოელი მათგანის თითო ზარს მოუსმენენ და შეინახავენ, 2 მილიონი ფაილი იქნება. თუ 2 მილიონს რამდენიმე კვირას მოუსმენენ, მივიღებთ რამდენიმე ასეულ მილიონ ფაილს. ამიტომ, მასობრივად უსმენენ თუ არა, კანონიერია და იყენებენ თუ არა მოსახლეობის წინააღმდეგ, გამოძიება დაადგენს. რჩება შთაბეჭდილება, რომ მანიპულაციებს აქვს ადგილი.

პირადად მე, როგორც ინფორმაციის მომხმარებელს, არ მჭირდება, როცა ერთჯერადად გასავრცელებელ ინფორმაციას საღეჭრეზინად ასაღებენ და მთელი თვეა, თავზე გვახვევენ. მოაზროვნე ადამიანები გააკეთებენ დასკვნებს.

რაც ზემოთ აღვწერე, არ ნიშნავს უკანონო მოსმენების გამართლებას. სადაც კანონი დაირღვა, იქ პასუხისმგებლობა უნდა დადგეს. ამავდროულად, უნდა დადგინდეს, სადაა სიმართლე, სად – სიცრუე, სად – მანიპულაციები და შემდეგ ვიმსჯელოთ. ეჭვი მაქვს, გარკვეულ სიმართლეზე დაყრდნობით, რომ მასშტაბურ წინასაარჩევნო მანიპულაციებთან გვაქვს საქმე!“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

იანვრიდან დღემდე საქართველოს მილიონზე მეტი ტურისტი ეწვია

2021 წლის რვა თვეში, კოვიდპანდემიისა და მასთან დაკავშირებული გამოწვევების მიუხედავად, საქართველომ მილიონზე მეტ საერთაშორისო მოგზაურს უმასპინძლა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის, მარიამ ქვრივიშვილის განცხადებით, საქართველოს ორი მეზობელი ქვეყნის – რუსეთისა და აზერბაიჯანის სახმელეთო საზღვრები დახურულია, რის გამოც ტურისტები იმ დინამიკით ვერ შემოდიან, რა მოლოდინიც გახსნილი სახმელეთო საზღვრების შემთხვევაში გვექნებოდა. პარალელურად, „საქართველოს სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაციის“ დამფუძნებელი, შალვა ალავერდაშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას ამბობს, რომ 2019 წელთან შედარებით, 2021 წელს, ქვეყანაში 50%-ით ნაკლები საერთაშორისო ტურისტი გვყავს, მაგრამ ეს მაინც კარგი მაჩვენებელია. მისი თქმითვე, კოვიდპანდემიისა და მისგან გამომდინარე რეგულაციების გათვალისწინებით, 2020 წლის მონაცემები იმდენად უმნიშვნელოა, რომ ჩავთვალოთ, შარშანდელი სტატისტიკა, უბრალოდ, არ არსებობს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, მარიამ ქვრივიშვილი ამბობს, რომ კოვიდპანდემიიდან გამომდინარე, ტურისტულ სექტორს და არა მხოლოდ, განსხვავებულ ფორმატში უწევს მუშაობა. მისივე თქმით, ბუნებრივია, რომ პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა რეგულაციებმა, საერთაშორისო ვიზიტორთა ჩამოსვლის სტრუქტურაც შეცვალა.

„კერძოდ, თუ 2019 წლის იანვარ-აგვისტოში, საერთაშორისო ვიზიტორთა დიდი ნაწილი – 73.7%, საქართველოში სახმელეთო გზით შემოდიოდა, ხოლო 24.7% – საჰაერო გზით, 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში, ეს თანაფარდობა შეიცვალა და თითქმის გათანაბრდა. 2021 წლის რვა თვეში, საერთაშორისო ვიზიტორების 50% საქართველოში, საჰაერო გზით შემოვიდა“, – განაცხადა მარიამ ქვრივიშვილმა.

ტურიზმის სექტორის ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2021 წლის რვა თვის მანძილზე, ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა, 2019 წლის ანალოგიური მაჩვენებლის 50%-ზე მეტი შეადგინა და 500 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. რაც შეეხება ტურისტულ ვიზიტებს, ამ მაჩვენებელმა, 2019 და 2020 წლების ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შესაბამისად, 26% და 96% შეადგინა.

საინტერესოა, რა ოდენობის შემოსავალი მიიღო ქვეყანამ ტურისტული სექტორიდან, სწორედ, პანდემიის გათვალისწინებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტურიზმის ოფიციალური სტატისტიკა და საერთაშორისო ვიზიტორთა მშრალი ციფრები ლარებში გადავიყვანოთ და ვნახოთ, რა რაოდენობის შემოსავალი მიიღო სახელმწიფომ. საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით, მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში, უცხოური ტურიზმიდან 299.8 მილიონი აშშ დოლარი მივიღეთ, რაც გასული წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელს 34%-ით ჩამორჩება – 2020 წლის პირველ ნახევარში, ტურიზმიდან ქვეყანაში 456.5 მილიონი დოლარი შემოვიდა. როგორც ცნობილია, ტურიზმის მაჩვენებლების დრამატულად შემცირება პანდემიამ გამოიწვია.

„აღსანიშნავია, რომ 2020 წლის პირველ ნახევარში, 2019 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 79%-ით შემცირდა, რადგან 2019 წლის იანვარ-ივნისში, ტურიზმმა 1.46 მილიარდი დოლარის შემოსავალი მოგვიტანა. ჯამში, 2019 წელს, ტურიზმიდან 3.3 მილიარდის, ხოლო 2020 წელს – 541.7 მილიონი დოლარის შემოსავალი მივიღეთ“, – ვკითხულობთ ეროვნული ბანკის შეფასებაში.

რაც შეეხება ტურისტების რაოდენობას, სტატისტიკა აჩვენებს, რომ 2021 წლის იანვარ-ივნისში, საქართველოში სულ 464 126 უცხოური ვიზიტი განხორციელდა, რაც გასული წლის იმავე პერიოდის მონაცემს 62.2%-ით ჩამორჩება.

„კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ ტურიზმის ინდუსტრია სერიოზულად დააზარალა. 2020 წელს, უცხოური ვიზიტების რაოდენობა, წლიურად, 80%-ით შემცირდა და მხოლოდ 1.5 მილიონი შეადგინა. ბოლო თვეებში, როგორც ვიზიტების, ასევე, ამ ვიზიტებიდან მიღებული შემოსავლების მატება შეინიშნება, თუმცა არსებული სტატისტიკით, ტურიზმის მაჩვენებლები პანდემიამდელ მონაცემებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება“.

ტურიზმის ოფიციალური სტატისტიკა რომ პანდემიამდელ მონაცემებს მკვეთრად ჩამორჩება, ამას „ვერსიასთან“ საუბრისას, „სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაციის“ დამფუძნებელი, **შალვა ალავერდაშვილიც** ადასტურებს.

„ვერსიის“ კითხვაზე, პანდემიისა და მისგან გამოწვეული რეგულაციების გათვალისწინებით, რამდენად გამართლდა ტურიზმის სექტორში დასაქმებულთა მოლოდინი წელს ანუ პანდემიის მეორე წელს, შალვა ალავერდაშვილმა გვიპასუხა:

„რეალურად, 2019 წელთან შედარებით, 2021 წელს, 50%-ით ნაკლები ტურისტი გვყავს, თუმცა ეს მონაცემები 2020 წლის მაჩვენებლებს ნამდვილად სჯობს! ამ ეტაპზე, თბილისის საშუალო დატვირთვა 50%-55%-ს შეადგენს. ჩათვალეთ, რომ 2020 წელი არ არსებობს, რადგან შარშანდელი მონაცემები საკმაოდ უმნიშვნელოა, იმდენად მკვეთრი ვარდნა გვქონდა. მართალია, 2019 წელთან შედარებით, 50%-ით ნაკლები ტურისტი გვყავს, მაგრამ ამ პირობებში, ეს მაინც ძალიან კარგი მაჩვენებელია“.

სხვათა შორის, საერთაშორისო ვიზიტორების მოზიდვის მიზნით, უკვე ერთ თვეზე მეტია, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებს. მაგალითად, ივლისის ბოლოს, უწყებამ ცნობილი პოლონელი ჟურნალისტების 11-კაციან ჯგუფს უმასპინძლა, რომელთათვისაც სპეციალური პრეს-ტური გამართა. თავის მხრივ, ჟურნალისტებმა სხვადასხვა საერთაშორისო გამოცემებში, საქართველოს შესახებ სტატიები, რეპორტაჟები და ბლოგები მოამზადეს. ამის შემდეგ, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ესტონელი ჟურნალისტების ჯგუფი მიიღო, უმასპინძლა პოპულარული ამერიკული გამოცემა The Daily Beast-ის წარმომადგენლებს და რამდენიმე დღის წინ, კვლავ, პოლონელი ჟურნალისტების ხუთკაციანი ჯგუფი მიიღო.

გარდა ამისა, მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა სამოგზაურო გამოცემა – National Geographic-მა საქართველო და კერძოდ, სვანეთის რეგიონი, 2021 წელს, მსოფლიოს 25 საუკეთესო მიმართულებებს შორის დაასახელა, რომელსაც პოსტ-პანდემიურ პერიოდში, ტურისტი აუცილებლად უნდა ეწვიოს.

25 საუკეთესო ტურისტული მიმართულების შერჩევაში National Geographic-ის გლობალური რედაქტორები მონაწილეობდნენ. მიმართულებები ხუთ კატეგორიად დაჰყვეს: ბუნება, თავგადასავალი, კულტურა, მდგრადობა და ოჯახი.

რაც მთავარია, National Geographic-ის პორტალზე სვანეთის ფოტოები განათავსეს და მკითხველებს რეგიონის შესახებ დეტალური ინფორმაცია ასე მიაწოდეს:

„შორეულ, მაგრამ სტუმართმოყვარე სვანეთს 15 000 ფუტი სიმაღლის მწვერვალები დაჰყურებს. საქართველოს ჩრდილო-დასავლეთში მდებარე რეგიონი შუასაუკუნოვანი ქვის კოშკებით გამოირჩევა, რომელიც ერთდროულად საცხოვრებელ, ასევე, თავდაცვით ზღუდეს წარმოადგენდა. ეს ციხესიმაგრეები იმ ეპოქის დასტურია, როდესაც სვანური ოჯახები, პატარა სოფლებში, საკუთარი მიწის შესანარჩუნებლად მამაცურად იბრძოდნენ. ერთ-ერთი მათგანია უშგული, რომელიც მსოფლიო მემკვიდრეობის დაცულ ტერიტორიადაა გამოცხადებული. უშგული ევროპის ერთ-ერთი უმაღლესი დასახლებაა. ერთ დროს კანონის არარსებობით ცნობილი სვანეთი, დღეს, სტუმარ-მასპინძლობით გამოირჩევა. როგორც მოგზაური, მწერალი და ფოტოგრაფი, მიხალ გლომბოვსკი ამბობს, სვანეთში ქეიფი, სადღეგრძელოები და სასმელები დღიურ წესთა ნაწილია. სვანეთი გამოირჩევა ტრანსკავკასიური სამთო ბილიკებით, ეს არის ამბიციური სალაშქრო ბილიკების ქსელი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს. მოლაშქრეებისთვის პოპულარულია ოთხდღიანი ტურები მესტიიდან უშგულამდე, სადაც უმაღლეს მწვერვალებსაც ათვალიერებენ“.

ბუნებრივია, უწყების ამგვარი სტრატეგია ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ახლა, როდესაც პანდემიიდან გამოწვეული რეგულაციების გამო, სექტორი საგრძნობლად დაზარალდა. მართალია, უცხოელი ჟურნალისტები საქართველოში მოგზაურობის ემოციებს საკუთარ სტატიებში გამოხატავენ და მკითხველებს ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობასაც სთავაზობენ, მაგრამ ეს ღონისძიებები მაინც არასაკმარისია. შალვა ალავერდაშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას ამბობს, რომ ამ ეტაპზე, მთავარი თემა პანდემიაა:

„თუ პანდემიას დროულად დავამარცხებთ, მოსახლეობა აიცრება და ვაქცინირებული მოქალაქეების პროცენტული მაჩვენებელი საგრძნობლად მაღალი იქნება, ტურისტები გვეყოლება ქვეყანაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, აქ არავინ ჩამოვა! მთავარი ესაა, თორემ ვის ჩამოვიყვანთ და რას დავათვალიერებინებთ, ამას ახლა ძალიან დიდი მნიშვნელობა ნამდვილად არ აქვს. რეალურად, ყველაზე მნიშვნელოვანია ვაქცინირებული მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებლები და კოვიდსტატისტიკა, რასაც უყურებს ქვეყნების უმეტესობა, განსაკუთრებით ევროპული ქვეყნები. აინტერესებთ, რა მდგომარეობაშია ქვეყანა, ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით. სწორედ აქედან გამომდინარე, გვეყოლება ან არ გვეყოლება უცხოელი ტურისტები ქვეყანაში. ამიტომ, კიდევ ერთხელ, თხოვნით მივმართავ ყველას – ავიცრათ, რადგან რეალურად, მხოლოდ ამაზე დგას, როგორც ტურიზმის, ასევე, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მომავალი!“

რატომაა სასარგებლო ზეითუნის ზეთი

ზეითუნის ზეთი თუ არ გარგებთ, არ გაწყენთ, რადგან სამედიცინო გამოკვლევების თანახმად, ამ ზეთს საუკეთესო სამკურნალო თვისებები აქვს.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკა – ნამდვილი „შინაური“ ზეითუნის ზეთის (ამის ბედნიერება მხოლოდ მათ აქვთ, ვის ქვეყნებშიც ზეთისხილი მოდის) სამკურნალო თვისებების საიდუმლო რეკორდული რაოდენობის ცხიმმჟავა ომეგა-3-ის შემცველობაშია, რომელიც ხელს უშლის სისხლძარღვთა კედლებზე ათეროსკლეროზული ბალთების დალექვას და არსებულსაც სპობს. ეს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, განსაკუთრებით კი, ინფარქტისა და ინსულტის თავიდან ასაცილებლად ეფექტური ნატურალური პროფილაქტიკური საშუალება გახლავთ.

გარდა ამისა, ზეითუნის ზეთი შეიცავს ა, დ, ვ და კ ვიტამინებს, რომლებიც ძვლებს, კუნთებსა და იმუნურ სისტემას განამტკიცებენ.

წნევის მოწესრიგება – ზეითუნის ზეთი არტერიულ წნევას აწესრიგებს (ზეთისხილის ხის ფოთლის ექსტრაქტს ჰიპერტონიის საწინააღმდეგო პრეპარატების წარმოებაშიც იყენებენ), ჭრილობებს ახორცებს, ადამიანს იცავს დიაბეტისა და სიმსუქნისგან. ასევე, სასარგებლოა მათთვისაც, ვისაც სანაღვლე გზების დისფუნქცია აწუხებთ. ორგანიზმს ეხმარება საჭმლის მონელებაში.

ზეითუნის ზეთი არ შეიცავს ქოლესტერინს და სისხლში მისი დონის დაწევაც შეუძლია.

ამერიკელი მეცნიერები თვლიან, რომ ოლეინის მჟავა, რომელიც ზეითუნის ზეთში ბევრია, კიბოს უჯრედების გენს ასტიმულირებს. შესაბამისად, ქვეითდება ონკოლოგიური დაავადებების განვითარების რისკიც. სპეციალისტების აზრით, ზეითუნის ზეთს, ბუნებრივი ანტიოქსიდანტების მაღალი შემცველობის გამო, კიბოს საწინააღმდეგო თვისებები აქვს.

100%-იანი ამთვისებლობა ზეითუნის ზეთის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ორგანიზმი მას თითქმის სრულად გადაამუშავებს და ეს მაშინ, როცა მზესუმზირას ზეთის მხოლოდ 80%-ის გადამუშავება ხდება. ამის მიზეზი ჩვენი ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობისთვის აუცილებელი ოლეინის მჟავის მაღალი შემცველობაა.

ზეითუნის ზეთი, ასევე, სასარგებლოა შეწვისას.

როდის არ უნდა მიიღოთ თევზის ქონი

თევზის ქონი იმითაა სასარგებლო, რომ მასში A ვიტამინის მაღალი კონცენტრაციაა. ასევე, დიდი რაოდენობით D ვიტამინს შეიცავს, რომლის ნაკლებობაც ბავშვებში რაქიტის განვითარებას იწვევს. ისეთი ნივთიერებები კი, როგორებიცაა რკინა, მაგნიუმი, კალციუმი, მარგანეცი, მასში შედარებით მცირე რაოდენობითაა.

სხვათა შორის, ცნობილი ექიმი რობერტ ატკისონი წერდა, რომ გრენლანდიაში მცხოვრები ესკიმოსები, რომლებიც სელაპის ხორცითა და ვეშაპის ქონით იკვებებიან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებით, პრაქტიკულად, არასოდეს ავადდებიან. ამის მთელი საიდუმლო კი ისაა, რომ თევზის ქონი სისხლში ტრიგლიცერიდების დონეს აქვეითებს. თუ ტრიგლიცერიდების დონე აწეულია, ეს ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე – სისხლში ქოლესტერინის მაღალი დონე, რადგან ამ დროს გული და სისხლძარღვები დიდ დატვირთვას განიცდის.

1. თევზის ქონი აქვეითებს გულის რიტმის დარღვევის რისკს და მისი რეგულარულად მიღების შემთხვევაში, შეიძლება, სისხლის წნევაც მოწესრიგდეს, რაც ჰიპერტონიანთათვის დიდი შვებაა.

2. თევზის ქონი წარმატებით გამოიყენება კიბოს, კერძოდ, მკერდის კიბოს მკურნალობის დროს, რადგან ქსოვილებს ომეგა-3 ცხიმმჟავებით კვებავს.

3. თევზის ქონის მიღება სასარგებლოა მათთვისაც, ვინც ართრიტითაა ავად, რამდენადაც ამ დროს სახსრების ტკივილი საგრძნობლად ქვეითდება, მოძრაობა კი, პირიქით, იზრდება. მსგავსი თერაპევტული ეფექტი შეინიშნება სახსრებისთვის საჭირო ჟელატინის მიღებისას, მაგრამ ამ ხალხურ საშუალებაზე ცოტამ იცის.

4. თევზის ქონი კანის მდგომარეობას აუმჯობესებს – უფრო გლუვი, ნაკლებად მშრალი და აქერცვლადი ხდება. არის შემთხვევები, როცა თევზის ქონის რეგულარული მიღებისას, ფსორიაზი სწრაფად განკურნებულა.

თევზის ქონი, ასევე, სასარგებლოა თმისთვის – ისე იყენებენ, როგორც ცხიმოვან ფუძეს საოჯახო ნიღბებისთვის.

5. თევზის ქონი მოქმედებს, როგორც კარგი მატონიზირებელი და ზოგადგამაჯანსაღებელი საშუალება. კურნავს დეპრესიას.

6. თევზის ქონი რეკომენდებულია ფეხმძიმეებისთვის – ხელს უწყობს ახალშობილის ჯანმრთელი ნერვული სისტემის ჩამოყალიბებაში.

თევზის ქონთან ფრთხილად უნდა იყვნენ დაბალწნევიანები. მისი მიღება არც იმ შემთხვევაში შეიძლება, თუკი თევზზე ალერგია, ფარისებრი ჯირკვლების, თირკმლების, შარდსადენი სისტემის პრობლემები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებები გაწუხებთ, ან სისხლში კალციუმის შემცველობაა აწეული.

დღეგრძელობის 18 მცნება

ამბობენ, ყველა ადამიანს დღეგრძელობის საკუთარი საიდუმლო აქვსო. ჟენევის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის ექიმებმა კი, დღეგრძელობის უნივერსალური რეკომენდაციები შეიმუშავეს:

დაკავდით უჩვეულო საქმით – ბევრი დღეგრძელი თვლის, რომ მეასე დაბადების დღის აღნიშვნაში მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა, ან უცხო ენის შესწავლა დაეხმარა. ასე რომ, თუ გინდათ, რომ ასი წელი იცოცხლოთ, დაიწყეთ ვოკალში მეცადინეობა, თუნდაც 40 წელს იყოთ გადაბიჯებული.

მამაკაცებო, დაქორწინდით! – როგორც გამოკვლევები აჩვენებს, ცოლიანი მამაკაცები, უცოლოებთან შედარებით, 3 წლით მეტ ხანს ცოცხლობენ.

შეიყვარეთ პომიდორი! – დღეში 1-2 პომიდორის მირთმევა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკს 30%-ით აქვეითებს.

ჩააბარეთ სისხლი! – მამაკაცი დონორები 17-ჯერ ნაკლებ ზარალდებიან გულის შეტევებით, ვიდრე ისინი, ვინც სისხლს არ აბარებენ.

მოუსმინეთ კლასიკურ მუსიკას! – მკვლევარები დარწმუნებულნი არიან, რომ ბეთჰოვენის მუსიკა გულის რიტმს აწესრიგებს, წნევას აქვეითებს და დაძაბულ კუნთებს ადუნებს; მოცარტის ნაწარმოებები კი, ტვინის მუშაობას აუმჯობესებენ.

იყავით ისეთი, როგორიც ხართ! – თუკი არ მოგწონთ, საზოგადოებრივ აზრს მაინცდამაინც ნუ დაექვემდებარებით, რადგან გარშემომყოფთა სიამოვნებისთვის საკუთარი ჩვევების „მსხვრევა“ ძალიან დიდი სტრესია, რაც სიცოცხლეს ამოკლებს.

მიირთვით ძირხვენები! – ძირხვენა მიწის ზემოთ მოწეული ნაყოფისგან იმით განსხვავდება, რომ მასში არსებული ვიტამინები, დროის გასვლასთან ერთად, კი არ ქრება, არამედ, პირიქით, გროვდება!

ეწვიეთ მშობლებს! – როცა ადამიანი დედის გვერდით იმყოფება, წნევა უწესრიგდება.

ნუ გადაყრით პურის ქერქს, განსაკუთრებით ჭვავის პურისას! – პურის ქერქი 8-ჯერ მეტ ანტიოქსიდანტ პრონილიზინს შეიცავს, ვიდრე – რბილობი.

იყოლიეთ ძაღლი, ან კატა! – მათ, ვისაც ძაღლი, ან კატა ჰყავთ, იშვიათად აწუხებთ სტრესი და მაღალი წნევა.

შეიძინეთ მაღვიძარა მსუბუქი მუსიკით! – უცაბედი მაღალი ხმა დილაუთენია გულის შეტევის რისკს ზრდის. ჩვენი სხეული მაღალ ბგერებს საშიშროების სიგნალად აღიქვამს და შესაბამისადაც რეაგირებს – გამოსტყორცნის ადრენალინს, რომელიც გულს ზედმეტად ძაბავს.

გადააგდეთ აბაზანის ფარდა! – პრაქტიკამ აჩვენა, რომ ფარდები აბაზანაში ბაქტერიებისა და სოკოების სათბურია, რომელსაც ალერგიისა და ასთმის გამოწვევა შეუძლია. შეცვალეთ ფარდა შუშის კაბინით, რომელიც ადვილად გასაწმენდია.

იწამეთ ღმერთი! – სტატისტიკა ამტკიცებს, რომ ისინი, ვინც რეგულარულად დადიან ეკლესიაში, ან სხვა რელიგიურ ადგილებში, საშუალო სტატისტიკურ მოსახლეობასთან შედარებით, 3-5 წლით მეტს ცოცხლობენ.

მიირთვით ნიგვზეული! – ბრაზილიური კაკალი (ძალიან უცნაური ნაყოფია – მისი გარჩეული გული ნუშს მოგაგონებთ) კრემნიუმითაა მდიდარი, რაც კიბოთი დაავადების რისკს 40%-ით აქვეითებს, მაგრამ არც ჩვენებური ე. წ. ბერძნული კაკალია ნაკლები! კიბოსგან ჩვეულებრივი თხილიც იცავს და ამის მიზეზი E ვიტამინის მაღალი შემცველობაა. ნიგვზეულის თითოეულ სახეს თავისი სასარგებლო თვისებები აქვს, მთავარია, მათზე ალერგია არ გქონდეთ. ისე, მარილიანი ნიგოზი არაა რეკომენდებული.

ხშირად იყავით ქალაქგარეთ! – სოფლელები უფრო პოზიტიურად უყურებენ ცხოვრებას, ვიდრე – ქალაქელები, რომლებიც გამუდმებული სტრესისა და აჩქარებულობის ატმოსფეროში ცხოვრობენ.

შეისწავლეთ ეტიკეტი! – მისი დახმარებით შეიძლება, იმ პროდუქტის შეძენა გადაიფიქროთ, რომლის ეტიკეტზეც ვ ასოთი აღნიშნულია საღებავები და მოდიფიცირებული სახამებელი. ამგვარად, თქვენი საკვები უფრო ჯანსაღი და ნატურალური გახდება.

მიეცით თავს სისუსტეების უფლება! – ექსპერტები თვლიან, რომ საყვარელი საქმიანობა, ან ჰობი, მაგალითად, შოპინგი თუ თეატრში სიარული ფიზიკულტურულ ვარჯიშებზე არანაკლებ სასარგებლოა.

უყურეთ სერიალებს და ერთმანეთს ბევრი აკოცეთ!

სამართალი

№34 22 სექტემბერი 2021 წ

ევროპაში „მოღვაწე“ ქართველმა „კანონიერმა ქურდებმა“ ნიკა კვარაცხელიას მკვლელების მოკვლის ბრძანება გასცეს

ბათო ჯაფარიძე

2001 წელი, 25 აგვისტო, მოსკოვი... ვუჩეტიჩის ქუჩაზე მდებარე კოტეჯი, რომელიც ახალგაზრდა კაცს აქვს ნაქირავები და დიასახლისთან ერთად ცხოვრობს. დიასახლისი ახალგაზრდათი კმაყოფილია, ფულს დროულად იხდის, შინ ქალები არ დაჰყავს, არ სვამს... ახლაც, სახლიდან ნაშუადღევს, პირველ საათზე გავიდა, საკუთარ ავტომობილში ჩაჯდა და... აფეთქების ხმამ კოტეჯის ფანჯრები ჩაამსხვრია. დიასახლისმა მილიციასა და სასწრაფოში დარეკა. ექიმებმა ცოცხალს მიუსწრეს, საავადმყოფოში გადაიყვანეს და რეანიმაციაში 14 საათი აცოცხლეს, მაგრამ აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ დაზარალებული გონსმოუსვლელად გარდაიცვალა. მოგვიანებით, ექსპერტმა თქვა, რომ თავდამსხმელებმა ხელნაკეთი ბომბისთვის, მინიმუმ, 200 გრამი ტროტილი გამოიყენეს და ჩანთა, რომელშიც ასაფეთქებელი მოწყობილობა იდო, ლურსმნებით იყო სავსე. სწორედ ეს ლურსმნები იყო გარდაცვლილის სხეულში მიმოფანტული. მოკლული საქართველოს მოქალაქე, „კანონიერი ქურდი“, 37 წლის დავით კაკულია, მეტსახელად, „დათო ტბილისკი“ გახლდათ. კაკულია იმ დროის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ქურდი იყო და მას ტიტული ისეთი „კანონიერი ქურდებისგან“ ერგო, როგორებიც არსენ მიქელაძე, პაატა ჩლაიძე და ავთანდილ ჩიხლაძე იყვნენ. როგორც მაშინ რუსულმა მედიამ დაწერა, კაკულია კრიმინალურ გარჩევებს ემსხვერპლა და კონკურენტების აფეთქებას თავადაც აპირებდა, უბრალოდ, დაასწრეს. ეს ვერსია კი მას შემდეგ წარმოიშვა, რაც კოტეჯის ჩხრეკისას, სამართალდამცავებმა ხელნაკეთი ბომბი იპოვეს, რომელშიც... 200 გრამი ტროტილი იყო.

მომხდარიდან 20 წლის შემდეგ, 2021 წლის 15 სექტემბერს, თბილისში, ვერაზე, ანჯაფარიძის ქუჩაზე, ქართველ ცუკერბერგად შერაცხული, უნიჭიერესი ახალგაზრდა, ნიკა კვარაცხელია საკუთარ ავტომობილში ჩაცხრილეს. თავდამსხმელმა მას ცხრა ტყვია ესროლა, საიდანაც მიზანს რვამ უწია. დაჭრილი კვარაცხელია ექიმებმა საავადმყოფომდე ცოცხალი მიიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოახერხეს. გარდაცვლილი ბიჭი „კანონიერი ქურდის“, გია კვარაცხელიას შვილი გახლდათ.

რაღა თქმა უნდა, მაშინვე წარმოიშვა ვერსია, რომ ნიკას მკვლელობა მამის საქმიანობას უკავშირდებოდა და ეს, იმის მიუხედავად, რომ უმცროსი კვარაცხელია არასდროს ყოფილა შემჩნეული კრიმინალში. სამი წლის წინ, ის საქართველოში საფრანგეთიდან დაბრუნდა, სადაც განათლება მიიღო და ტექნოლოგიების სფეროში საქმიანობდა. ნიკა პლატფორმა Feedc-ის დამფუძნებელი გახლდათ და მას სტატია „ფორბსმაც“ მიუძღვნა, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთ პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდას და მომავალ მილიარდერს.

ვინც ნიკას იცნობდა, ყველა აღიარებს, რომ სამყაროს სხვანაირი აღქმა ჰქონდა, სხვანაირად ხედავდა მოვლენებს და არა მარტო საქართველოში, არამედ, მსოფლიოშიც ხმამაღალ სიტყვას ძალიან მალე იტყოდა. მაშ, რა მოხდა, რატომ მოკლეს ბიჭი, რომლის მთავარი „დანაშაული“ „კანონიერი ქურდის“ შვილობა იყო?! ყოველ შემთხვევაში, გამოძიებას სხვა ვერსია ჯერჯერობით არ აქვს.

მკვლელობაში ორი ეჭვმიტანილია – 21 წლის ალეკო ჭელიძე და 22 წლის გიორგი კავილაძე. როგორც შს სამინისტროს კულუარებში ამბობენ, გასროლა ჭელიძემ განახორციელა, კავილაძე კი დაქოქილ მანქანაში იჯდა და მკვლელი იქაურობას ოპერატიულად გააცილა. იმასაც ამბობენ, რომ ორივე მათგანმა საქართველო უკვე დატოვა და საზღვარი არალეგალურად, აღმოსავლეთ საქართველოს მხარეს გადაკვეთა. ეს უკვე დაზუსტებული ინფორმაციაა – ჭელიძის ოჯახის წევრები მომხდარით შოკირებულები არიან. რაოდენ დაუჯერებლადაც უნდა ჩანდეს, მკვლელობაში ეჭვმიტანილის მშობლები წესიერი ხალხია, საზოგადოებაში ავტორიტეტით სარგებლობენ და რაც მთავარია, მათ ფინანსურად არ უჭირთ ანუ გამორიცხულია, მკვლელობაში ეჭვმიტანილი ვინმეს ფინანსურად მოეხიბლა და შეკვეთილ მკვლელობაში ფული აეღო.

სამართალდამცავებიც და ორივე ოჯახის მეგობრებიც ვარაუდობენ, რომ საქმე 20 წლის წინ მომხდარ მკვლელობას ეხება. მაშინ არაოფიციალურად ხელი, სწორედ კვარაცხელიასკენ გაიშვირეს და თქვეს, რომ დათო კაკულიას მკვლელობა, სწორედ გია კვარაცხელიამ შეუკვეთა, თუმცა დაზუსტებული ინფორმაციითვე, მხარეებს შორის შეხვედრა შედგა, კვარაცხელია პირადად ესაუბრა კაკულიას შვილებს და დაარწმუნა, რომ მათი მამის მკვლელობასთან შეხება არ ჰქონია.

როგორც გვეუბნებიან, კაკულიებმა კვარაცხელიას ხელიც ჩამოართვეს და წლების განმავლობაში, მასთან ჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდათ. უფრო მეტიც, კაკულიებს თუ კვარაცხელიას მოკვლის სურვილი ჰქონდათ, ამას მარტივად მოახერხებდნენ და ოჯახის წევრზე შურს არ იძიებდნენ. მაშ, რა მოხდა ახლა, რამაც სიტუაცია რადიკალურად შეცვალა?

ევროპაში მცხოვრები „კაი ბიჭები“ არ გამორიცხავენ, რომ ძმები კაკულიები ვიღაცამ, ვისიც მათ სჯერათ, დაარწმუნა, რომ მამა სწორედ კვარაცხელიამ მოუკლა და ამ ხნის განმავლობაში, უბრალოდ, ატყუებდა. ეს გახდა ასეთი სასტიკი შურისძიების მიზეზიც ანუ მათი თქმით, კვარაცხელიას არ აპატიეს ის, რომ წლების განმავლობაში, მამის მკვლელთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. არავინ უარყოფს, რომ მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე, კაკულიები სომხეთში იმყოფებოდნენ. 4 დღით სომხეთში იყო წასული მკვლელობაში ეჭვმიტანილი ჭელიძეც და საქართველოში, ნიკა კვარაცხელიას სიკვდილამდე 3 დღით ადრე დაბრუნდა. მიიღო თუ არა მან კაკულიებისგან კვარაცხელიას მოკვლის დავალება, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტები დროსა და სივრცეში ერთმანეთს ძალიან საეჭვოდ ემთხვევა.

ახლა კი მთავარი: ევროპაში მცხოვრები ქართველები ამბობენ, რომ უკვე გატარდა „პრაგონი“, რომლის მიხედვითაც, მკვლელობაში ეჭვმიტანილებს არათუ თავშესაფარი უნდა მისცეს არავინ, ვისაც „კაიბიჭური“ ცხოვრება სურს, არამედ, ისინი უნდა დახოცონ. ქურდული „კანონებით“, ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა ჩარჩოებში არ ჯდება, მით უმეტეს, თუ ოჯახის ეს წევრი კრიმინალთან კავშირში არ არის და შეხება არც „შავ სამყაროსთან“ აქვს. შედეგად, ჭელიძისა და კავილაძის ქვეყნიდან გასვლა, ამ ეტაპზე, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ისინი ქართულ მართლმსაჯულებას გაექცნენ, გაექცევიან თუ არა ქურდულ ვენდეტას, ძნელი სათქმელია.

„არცთუ იშვიათად ყოფილა, როცა „კანონიერი ქურდის“ მკვლელის მოკვლისთვის, მკვლელისთვის „კანონიერი ქურდის“ გვირგვინი დაუდგამთ. თითქმის ანალოგიური შემთხვევაა ახლაც. გადაჭრით შეიძლება იმის თქმა, რომ თუ რომელიმე „კაი ბიჭი“ ნიკას მკვლელობაში ეჭვმიტანილებს მოკლავს, გია კვარაცხელია მათ ქურდის წოდებას არ დაამადლის. ამ სახელის ასე „მარტივად“ მოპოვება კი ძალიან ბევრს სურს“, – ამბობენ ევროპაში მცხოვრები კრიმინალები...

21-ე საუკუნეში, „კანონიერი ქურდობა“ კვლავ რომანტიულად რომ ჟღერს, „კაი ბიჭები“ კვლავ რომ არსებობენ და მათი არსებობა ყველამ იცის, სწორედ ეს გახლავთ ტრაგედია. ისიც ითქვა, კაკულიები კვარაცხელიას მოკვლის სანაცვლოდ, მის მკვლელებს შეპირდნენ „კანონიერი ქურდის“ ტიტულსო და ყველაფერი ერთ დიდ ჯოჯოხეთს რომ ემსგავსება, ალბათ, თქვენც ატყობთ?!

როგორ გადაურჩა სექსუალური მანიაკი დახვრეტას

ბათო ჯაფარიძე

როგორც ახლა, არც ადრე იყო რიგითი დანაშაულები. მაშინაც და ახლაც დიდი მნიშვნელობა იმას ჰქონდა და აქვს, ვინაა დამნაშავე და ვინ – დაზარალებული. სამწუხაროდ, ცნობილი ადამიანების შვილები თუ ნათესავები მაშინაც ნაკლებად ისჯებოდნენ. იმ შემთხვევაში კი, თუ დაზარალებულები ძლიერნი ამა ქვეყნისანი იყვნენ, მათი შემწუხებელი პასუხს კანონის მთელი სიმკაცრით აგებდა. ჰოდა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა 1977 წელს, მორდოვიის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქ სარანსკში, ლიდია ბორზოვა რომ მოკლეს. ეს ქალი ადგილობრივი ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმი იყო, მაგრამ ეს კიდევ არაფერი – ლიდია ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ლეონიდ ბრეჟნევის პირადი თანაშემწის და გახლდათ. როგორც კი მკვლელობის შესახებ გახდა ცნობილი, ბრეჟნევმა საბჭოთა კავშირის შს მინისტრი, ნიკოლაი შჩოლოკოვი დაიბარა და მათი მეგობრობის მიუხედავად, მოკლედ მოჭრა – ან დამნაშავე ორ კვირაში იქნება დაკავებული, ან თანამდებობას დატოვებო.

„ეს, იცით, რას ნიშნავდა? – დასასრულის დასაწყისს. შჩოლოკოვმა სპეცხაზით ყველა რესპუბლიკის შს მინისტრს ჩამოურეკა და უთხრა, რომ მორდოვიაში საუკეთესო მაძებრები გაეშვათ. თუ საქმე არ გაიხსნებოდა, აბსოლუტურად ყველა მინისტრი შეიცვლებოდა, თუმცა თავად შჩოლოკოვი მოახერხებდა პოსტზე დარჩენას, რადგან ღრმად სწამდა, ლეონიდ ილიჩი ბოლომდე არ გაიმეტებდა. ამიტომ, შუა ზამთარში, მორდოვიაში აღმოვჩნდი და თავ-ბედს ვიწყევლიდი, რადგან საქართველოში, იმ დროს ყინვებიც არ იყო, იქ კი გადააფურთხებდი და მიწას ყინული ეცემოდა“, -იხსენებს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ექსპერტიზის დასკვნით, ქალბატონი დანა „ფინკათი“ იყო მოკლული, მკვლელობამდე კი გაუპატიურებული. რა ძნელი მისახვედრია, რომ პირველ რიგში, ეჭვი იმ სამსახურზე მიიტანეს, სადაც ლიდია ბორზოვა მუშაობდა. ფსიქიატრიული საავადმყოფო არ არის რიგითი დაწესებულება და გაჩნდა ეჭვი, რომ მთავარი ექიმის მუშაობა რომელიმე პაციენტს არ მოეწონა და შური ამ გზით იძია. ასეთი პაციენტი მალე ნახეს, რომელიც ბოლო ხმაზე ყვიროდა, რომ ბორზოვა ეზიზღებოდა და მის მოკვლას აპირებდა. შჩოლოკოვისთვის ეს საკმარისი იყო და გენსეკს უპატაკა, რომ მისი თანაშემწის დის მკვლელი დააკავეს და მალე სასამართლო შესაბამის განაჩენსაც გამოუტანდა. არადა, დაკავებული შეურაცხადი იყო და მისი გასამართლება არ შეიძლებოდა.

„შჩოლოკოვი ჭკვიანი კაცი იყო. კარგად ხვდებოდა, რომ მკვლელს ასე მარტივად ვერ ვიპოვიდით, ამიტომ ბრეჟნევს ვიღაც ავადმყოფი შეაჩეჩა, ჩვენ კი საიდუმლო ბრძანება მივიღეთ, რომ ყველა მიმართულებით გვემუშავა და მკვლელი გვეძებნა. ამით, შს მინისტრმა თავიც გადაირჩინა და გამოძიების ვადაც გაზარდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

რეალურად, სამართალდამცავებმა მკვლელს ვერც ორ კვირაში მიაგნეს და ვერც – ორ თვეში. მორდოვიაში სასწრაფო წესით ჩასული მაძებრები სამსახურებში დაბრუნდნენ, ოფიციალურად საქმეს გახსნილი დაერქვა, არაოფიციალურად კი ყველამ იცოდა, რომ მკვლელი ვერ იპოვეს. მომხდარიდან ორი წელი იყო გასული, როცა კალინინგრადის ოლქის ქალაქ სვეტლაგორსკში, უცნობი მამაკაცი ერთ-ერთ დამსვენებელს თავს დაესხა, გააუპატიურა და დანა სამჯერ დაარტყა. საბედნიეროდ, ქალი გადარჩა და სამართალდამცავებს უთხრა, რომ ერთადერთი, რაც ახსოვდა, ჭუჭყის აუტანელი სუნი იყო. ისეთი შეგრძნება იქმნებოდა, თითქოს მოძალადეს წლების განმავლობაში ტანი არ დაებანა. ბედის ირონიით, სვეტლაგორსკში ის ექსპერტი მუშაობდა,რომელიც ორი წლის წინ, ბორზოვას მკვლელობის საქმეზე

დებდა დასკვნას. მას ჭრილობა ეცნო და მეორე დღეს დაბეჯითებით ამტკიცებდა, იგივე დანა, იგივე ხელწერა და იგივე სიძლიერით მიყენებული ჭრილობებიაო. რა თქმა უნდა, ყველაფერი შჩოლოკოვს მოახსენს და საიდუმლო ბრძანებაც გასცა – ეძებეთ!

„იმის გამო, რომ 1977 წელს, სულ რამდენიმე ადამიანმა ვიცოდით სარანსკში გამოძიებული საქმის რეალური არსი, კვლავ ჩვენ შეგვკრიბეს და გვითხრეს, რომ მკვლელი ახლა მაინც უნდა დაგვეჭირა. პირველივე თათბირის შემდეგ ვიცოდით, რომ ამჯერად ვერსად გაგვექცეოდა, რადგან შემთხვევიდან მეორე დღეს, იმავე სვეტლაგორსკში კიდევ ერთი ქალი გააუპატიურეს და მოკლეს, შემდეგ – კიდევ ერთი, თუმცა მან სიკვიდლის წინ მოასწრო იმის თქმა, რომ დამნაშავე... საშინლად ყარდა ანუ ჩვენს მკვლელს მანიაკალური გრძნობები ჰქონდა აშლილი და კარგა ხანს ვერ დაიწყნარებდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

შეიქმნა მიახლოებითი აღწერილობაც და რაც მთავარია, რამდენიმემ დაადასტურა, რომ მამაკაცს მუდმივად სპორტული თანსაცმელი ეცვა. დაიწყეს თვალთვალი და რაც მთავარია, სანაპიროზე გაუშვეს გამომწვევად ჩაცმული მილიციის თანამშრომელი ქალები, თუმცა თავდამსხმელი საოცარ წინდახედულობას იჩენდა და თავდასხმა ერთ თანამშრომელზეც არ უცდია – თითქოს ხვდებოდა, რომ მახეს უგებდნენ და სრულიად სხვა, არაფრით გამორჩეულ ქალებს აუპატიურებდა და თუ ახერხებდა, კლავდა. აი, მისი სიმყრალე კი ყველა გადარჩენილმა დაზარალებულმა დაადასტურა. ადრე თუ გვიან, მკვლელი აუცილებლად დაუშვებდა შეცდომას და საბჭოთა კავშირის საუკეთესო მაძებრებს, უბრალოდ, ვეღარ გაექცეოდა, თუმცა...

მოსახლეობამ საკურორტო ქალაქში, საღამოობით, ჯგუფ-ჯგუფად დაიწყო სიარული. ყველა ერიდებოდა ადამიანს, რომელიც აუპატიურებდა და კლავდა, თუმცა იყო გამონაკლისი. ერთ-ერთი სასადილოს მზარეული ქალი, რომელიც ღიმილით ამბობდა ხოლმე, სადმე თუ წავასწარი იმ მანიაკს, მე ვიცი, როგორც მოვექცევიო. ჰოდა, ერთხელაც, შინ მიმავალს თავს დაესხნენ. თავდამსხმელის სიმყრალე ქალს მაშინვე ცხვირში ეცა, მიხვდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე და...

„ჯანიანი ქალი იყო, მერე ამბობდნენ, სამზარეულოში ფქვილის თუ შაქრის ტომრებს მარტო დაათრევსო და იმ თავდამსხმელსაც მოსდო და მოსდო. ასეთი წინააღმდეგობით გაოცებული მანიაკი გაიქცა, ქალი გაეკიდა და გზადაგზა ურტყამდა. საბოლოოდ, კაცი გაიქცა, მაგრამ ქალი მილიციაში მივიდა და დანა – „ფინკა“ მიიტანა, რომელიც დამნაშავეს წაართვა და რომელზეც ქალის გარდა, სხვა თითის ანაბეჭდებიც იყო ანუ ჩვენ უკვე მკვლელის ანაბეჭდები გვქონდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

კარტოთეკაში გადამოწმებამ სამართალდამცავებს ახალი არაფერი მისცა. ნათელი გახდა, რომ დამნაშავე მანამდე ნასამართლევი არ იყო. ერთადერთი, რაც შეიძლება დადებითი ყოფილიყო სამომავლოდ, ანაბეჭდი გახლდათ ანუ თუ მკვლელს დააკავებდნენ, ბრალდებას მარტივად წაუყენებდნენ. სამწუხაროდ, დამნაშავის კვალი კვლავ გაქრა და კვირა ისე გავიდა, მანიაკს თავდასხმა აღარ განუხორციელებია. მოსახლეობამ ყურადღება ცოტა მოადუნა და... ერთ საღამოს, შინისკენ მიმავალ ახალგაზრდა ქალს უცნობი მამაკაცი გადაუდგა და ყელზე დანა დაადო. ქალს სიმყრალის უსიამოვნო სუნი ეცა და თავდამსხმელს მორჩილად გაჰყვა მოფარებულში, რომელიღაც საწარმოს უკანა მხარეს. ამ დროს კაცმა წაიბორძიკა და დაეცა, გოგონამ გასხლტომა მოასწრო და უკანმოუხედავად გაიქცა. საბედნიეროდ, დაახლოებით, 150 მეტრში, ის მილიციის ორ თანამშრომელს გადაეყარა და მომხდარის შესახებ უთხრა. სამართალდამცავებმა გეზი მითითებული ადგილისკენ აიღეს და დაინახეს, როგორ იფერთხავდა შარვლიდან მტვერს მამაკაცი, რომელიც ფორმიანების დანახვაზე უკანმოუხედავად გაიქცა. მილიციის თანამშრომლები ფეხდაფეხ მიჰყვნენ. გაქცეულმა საწარმოს შემოუარა და... გაქრა. სამართალდამცავები გაოგნდნენ, ერთადერთი, მას შეეძლო, საწარმოს ტერიტორიაზე შესულიყო, მაგრამ ამას გადაძრომით ვერ მოახერხებდა, საწარმოს ძალიან მაღალი ღობე ჰქონდა, კარში კი დარაჯი იდგა.

„სწორედ ეს აღმოჩნდა გარდამტეხი. ჩვენი კოლეგები დარაჯთან მივიდნენ და ჰკითხეს, ხომ არ შევიდა ვინმე ტერიტორიაზე. მანაც მშვიდად მიუგო, როგორ არა, კომუნალური განყოფილების უფროსი, ალექსეი მიტროფანენკო, სულ რაღაც 5 წუთია, ტერიტორიაზე შემოვიდაო. მკვლელის ვინაობა ვიცოდით, მისი დაჭერა კი ტექნიკის საქმე იყო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

მიტროფანენკო ქალაქში დაფასებული კაცი იყო. კომუნალური განყოფილების უფროსობა მაშინ მარტივი თანამდებობა არ გახლდათ, ყველას სჭირდებოდა სანტექნიკოსიც, ელექტრიკოსიც და ზოგადად, ყველა სპეციალისტი, რაც კომუნალურ საქმეს ეხებოდა. ამასთან, მას ხელი მიუწვდებოდა დეფიციტურ ხელსაბანებზე, უნიტაზებზე და მთელი ქალაქი ცდილობდა, მასთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონოდა, ამიტომ როცა მკვლელად და ძებნილად გამოაცხადეს, რამდენიმე ადამიანმა თავში ხელი შემოირტყა. ყველამ იცოდა მიტროფანენკოს უცნაური ჩვევა – ბანაობა არ უყვარდა და იმის მიუხედავად, რომ ცოლი და ორი შვილი ჰყავდა, აბანოში წელიწადში ერთხელ თუ შედიოდა. სიმყრალის სუნს მისი თანამშრომლები მიეჩვივნენ და სხვებს კიდევ ფიქრადაც არ მოუვიდათ, რომ მკვლელი შეიძლება, სწორედ ის ყოფილიყო, ამიტომ მისი სუნიც არავის გახსენებია. მიტროფანენკოზე საკავშირო ძებნა გამოცხადდა.

„ჩვენ სამსახურებში დავბრუნდით. ზუსტად ვიცოდი, რომ იმ უბედურს აუცილებლად დაიჭერდნენ და ასეც მოხდა – ერთ-ერთმა სამართალდამცავმა საბუთების შემოწმების მიზნით, საეჭვო მამაკაცი გააჩერა და როცა პასპორტში მიტროფანენკოს გვარი ამოიკითხა, ბორკილებიც დაადო. მან ყველა დანაშაული აღიარა, მათ შორის, ბრეჟნევის თანაშემწის დის მკვლელობაც, მაგრამ“... – უკმაყოფილოდ თავს იქნევს ბატონი თენგიზი.

მიტროფანენკო არ დახვრიტეს. დახვრეტილ ადამიანთა სია აუცილებლად ხვდებოდა ბრეჟნევთან, ამიტომ უდიდესი იყო შანსი, რომ დასახვრეტთა სიაში მყოფი მანიაკით, თუნდაც მისი თანაშემწე დაინტერესებულიყო და მაშინ გაირკვეოდა, რომ ბრეჟნევი, უბრალოდ, მოატყუეს. ეს იყო ერთადერთი მიზეზი, რომ მიტროფანენკოს სასამართლომ, დახვრეტის ნაცვლად, 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სამხედრო ოფიცერმა სამართალდამცავი მოკლა

მძევლად აყვანილი ხორცის საწარმოს დირექტორი და ჩაფლავებული ყაჩაღობა

ბათო ჯაფარიძე

1985 წელს, თბილისში რიგითი დანაშაული მოხდა. რიგითი იმის გამო, რომ ასეთი შემთხვევები არ იყო იშვიათი და სამართალდამცავებსაც დიდი ყურადღება არ მიუქცევიათ, თუმცა შემდეგ ყველაფერი თავდაყირა დადგა და საქმეში ლამის მთელი საბჭოთა მილიციის უმაღლესი ეშელონები ჩაერთვნენ. ყველაფერი კი ძალიან მარტივად და ბანალურად დაიწყო.

თბილისის ხორცკომბინატის დირექტორის ნახვის სურვილი ორმა სოლიდურად ჩაცმულმა მამაკაცმა გამოთქვა. ხორცკომბინატის დირექტორი მაშინ უბრალო ფიგურა არ იყო და ყველას არ ხვდებოდა, მაგრამ მდივანმა უთხრა, აშკარად რუსები არიან, მოსკოვი ახსენესო და დირექტორმაც ორივე მიიღო.

„თუ მეხსიერება არ მღალატობს, მაშინ ხორცკომბინატის დირექტორი გვარად ან შარიქაძე იყო, ან ქარქაშაძე. ახალგაზრდა, უცოლო კაცი. ჰოდა, მიიღო კაბინეტში ორი დევივით სტუმარი და როცა მდივანმა კარი მიიხურა, ერთ-ერთმა იარაღი ამოიღო, დირექტორს მიუშვირა და ჩუმად გამოსცრა – ფული“, – გვიყვება რეზონანსულ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ხორცკომბინატის დირექტორს ერთ-ერთმა განუმარტა, როგორც გინდა, 60 ათასი მანეთი მოაგროვე და ჯიბეში ჩაგვიდე, თორემ მარტოხელა დედა მოკვდებაო. მეორე ოთახიდან მალე გავიდა, აქაოდა, დედაშენს ვეწვევი სტუმრად და თუ ფულს არ მისცემ მეგობარს, დედა თავმოჭრილი დაგხვდებაო. დირექტორი ადგილზე გაშეშდა. თავდამსხმელებს აუხსნა, რომ ამდენი ფული „ქეშად“ ადგილზე არ იყო, თუმცა როცა ერთმა კარი გაიხურა და მისივე თქმით, დირექტორის დედასთან წავიდა, საწარმოს ხელმძღვანელმა მდივანს დაუძახა და ფინანსური განყოფილების უფროსის დაძახება უბრძანა. განყოფილების უფროსი მალე მივიდა და ხორცკომბინატის დირექტორმაც უთხრა, საწარმოში „ქეშად“ რა თანხაც არის, მომიტანეო. ეს ბრძანება იმდენად უცხო და მოულოდნელი იყო, განყოფილების უფროსი ჩაფიქრდა, შემდეგ კაბინეტიდან უხმოდ გავიდა და მილიციაში დარეკა.

„იმას, რომ დირექტორის ოთახში შესაძლოა შეიარაღებული პირი ყოფილიყო, მთელი განყოფილება მიხვდა, ამიტომ წავედით ყველა, ვინც კი ადგილზე იყო და 15 წუთში, ხორცკომბინატის შენობა ალყაში მოექცა. ჭოგრიტით ვაკვირდებოდით, რა ხდებოდა დირექტორის კაბინეტში და როცა მისი სტუმრის ხელში იარაღი დავინახეთ, ყველაფერს მივხვდით. საჭირო იყო, გამომძალველი ისე აგვეყვანა, რომ გასროლა ვერ მოესწრო, მაგრამ როგორ? – კაბინეტში უცხო კაცის შესვლისთანავე, სროლას ატეხდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

მილიციამ იმპროვიზაციას მიმართა. ერთ-ერთ განყოფილებაში, კრივში საბჭოთა კავშირის პრიზიორი და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონიც იყო. სწორედ მას ჩააცვეს თეთრი ხალათი და შესაბამისი ინსტრუქტაჟიც ჩაუტარეს. ის დირექტორის კაბინეტში დაუკაკუნებლად შევიდა, მაგიდაზე ქაღალდში გახვეული ხორცის ნაჭერი დადო და ბოლო ხმაზე იყვირა – თქვენს მიერ მოწოდებული გაფუჭებული ხორცის გამო, მყიდველები მე რატომ უნდა მლანძღავდნენო? ყველაფერი ეს იმდენად მოულოდნელად მოხდა, რომ თავდამსხმელმაც კი ვერაფერი გაიგო. უფრო მეტიც, ის ხორცის მხარეს დაიხარა და დასუნა. სწორედ ამ დროს, ყბაში მოკრივის მუშტი მოხვდა, მაგრამ ფიზიკურად იმდენად ძლიერი იყო, არ გაითიშა და მაშინვე მოტრიალდა, თუმცა მოკრივემ მეორე და მესამეც მიაყოლა და თავდამსხმელი ღრმა ნოკაუტში გაუშვა. ხორცკომბინატის დირექტორმა მაშინვე იყვირა – დედა, დედას მომიკლავენო და სამართალდამცავები დედამისის სახლისკენ წავიდნენ, თუმცა მოხუცის გარდა, იქ არავინ დახვდათ ანუ მეორე თავდამსხმელი, რეალურად, მისი სახლისკენ არ წასულა. გამოცხადდა ძებნა ადამიანზე, რომელიც მდივანმაც აღწერა და დირექტორმაც – ის, მალე, აბანოთუბანში დააკავეს. რეალურად, ვერც ვერავინ იცნო, მაგრამ ორი მილიციელი დაინახა და გაიქცა. გაქცეულს დაედევნენ და ხელები გადაუგრიხეს, მერე კი გაირკვა, რომ ეს სწორედ მეორე თავდამსხმელი იყო. ქართული მილიცია გამარჯვებას ზეიმობდა, თან როგორ გამარჯვებას – დაკავებულებიდან ორივე სამხედრო იყო, ერთი კაპიტანი, მეორე – ლეიტენანტი. ორივე მოსკოვში მდგარ სამშენებლო ნაწილში მსახურობდა და ორივე მოქმედი ოფიცერი გახლდათ. როგორც წესი, დაკავებულებზე ინფორმაცია ყველა რესპუბლიკაში გაგზავნეს, აქ კი უმკაცრესი დაკითხვა მოაწყვეს.

„დაპატიმრებულები – ვლადიმირ კივა და ვალენტინ ხადაკოვსკი იყვნენ. დარწმუნებული გახლდით, რომ მათ რუსული მხარე წაგვართმევდა, ამიტომ გვსურდა, სანამ მოსკოვიდან ჩამოვიდოდნენ გამომძიებლები, მაქსიმალური ინფორმაცია მიგვეღო. ცოდვა გამხელილი სჯობს, ცოტა წამოვარტყით და ხადაკოვსკიმ ბოლო ხმაზე იყვირა, მე არ მომიკლავს, კივამ მოკლაო. სწორედ ამ დროიდან ჩავერთვე მე, რადგან მკვლელობა ჩემი პროფილი იყო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

როგორც გაირკვა, 1984 წელს, მოსკოვში, მოძმე სახელმწიფოს – ჩრდილოეთ კორეის ლიდერის, კიმ ირ სენის ვიზიტის დროს, მილიციის თანამშრომელი მოკლეს. მას თავში 16-ჯერ ჩაარტყეს რკინის ნაჭერი და ტაბელური იარაღი გასტაცეს. ეს იარაღი თბილისის სამმართველოში იდო. ყველაზე საინტერესო კი ის გახლდათ, რომ მოწმეთა ჩვენებების მიხედვით, მოსკოვის მილიციას დაკავებული ჰყავდა „გაი“-ს თანამშრომელი, რომელსაც მკვლელობა „შესტენეს“ და ათწლიან სასჯელს იხდიდა. დახვრეტით კი მხოლოდ იმის გამო არ დახვრიტეს, რომ მტკიცებულებები არცთუ მყარი იყო, თან სამართალდამცავის მკვლელობისთვის მისი კოლეგის დახვრეტა საერთაშორისო ასპარეზზე უდიდეს აჟიოტაჟს გამოიწვევდა. საინტერესოა, რომ გასამართლებულის ორი კოლეგა სასამართლოზეც კი ბოლო ხმაზე გაჰკიოდა, ეს მკვლელი არ არის, მაგ დროს ერთად ვთევზაობდით ქალაქის გარეუბანშიო და ცრუ ჩვენების მიცემისთვის, მათაც 3-3 წელი ჩამოურიგეს. მეგობრებმა ჩვენება მაინც არ შეცვალეს, ბოლომდე თავისაზე იდგნენ და... სასჯელს იხდიდნენ.

თბილისიდან მოსკოვში მიღებულმა ცნობამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. კივა დეტალურად ჰყვებოდა, როდის და როგორ მოკლა მილიციის თანამშრომელი, მოტივად კი მისი ტაბელური იარაღის ხელში ჩაგდება დაასახელა. მანვე გახსნა ორი საქმე, როცა ანალოგიური სქემით, ორი ქალაქის საწარმოს ხელმძღვანელები გაძარცვა. ერთს 1500 მანეთი წაართვა, მეორეს – 1200. მეტი მათ, უბრალოდ, არ ჰქონდათ. მოსკოვმა დაადასტურა, რომ ორივე საქმე მართლაც გაუხსნელი იყო.

მოსკოვიდან გამომძიებლები ჩამოვიდნენ, ოღონდ ერთადერთი მიზნით – რადგან დამნაშავეები საქართველოში დაიჭირეს, ორივე ქართულ სასამართლოს უნდა გაესამართლებინა. მათი ჩანაფიქრი გასაგები იყო, არ სურდათ, ისედაც ჩაფლავებული საქმე კიდევ უფრო გახმაურებულიყო და ამიტომ, სასამართლოს ჩატარება თბილისში ამჯობინეს. რა თქმა უნდა, გამოუშვეს მილიციის სამი დაკავებული თანამშრომელი, თუმცა ბოდიშიც არ მოუხდიათ და რაც მთავარია, ისინი სამსახურში არ აღადგინეს, რადგან... ნასამართლევები იყვნენ და ვერ მოახერხეს გამოძიების დარწმუნება საკუთარ სიმართლეში, რითაც ხელი შეუწყვეს უდანაშაულო ადამიანების ანუ საკუთარი თავის დასჯას.

რათა თქმა უნდა, სასამართლოც მოსკოვის კარნახით წარიმართა. მილიციელის მკვლელობისთვის ვლადიმირ კივას დახვრეტა მიუსაჯეს, ხოლო ვალენტინ ხადაკოვსკი მხოლოდ ბოლო, თბილისის საქმეში ფიგურირებდა და ამიტომ, ძარცვის ბრალდებით, 4 წელი აკმარეს.

იმასაც ამბობდნენ, ხადაკოვსკის ზემოთ მფარველები გამოუჩდნენ და იოლად ამიტომ გადარჩაო. ამ ვერსიას ისიც ადასტურებდა, რომ ხადაკოვსკიმ მისჯილი 4 წლიდან საქართველოში, მხოლოდ ერთი მოიხადა, შემდეგ რუსეთში გადაიყვანეს სასჯელის მოსახდელად და კარგი ყოფაქცევის გამო, 6 თვეში, თავისუფლებაზე გაუშვეს. კივა კი... თბილისში დახვრიტეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს არჩევნების უსაფრთხო, თავისუფალ, სამართლიან და მშვიდ გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად ტრენინგი ჩაუტარდათ



შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიისა და ცესკო-ს სწავლების ცენტრის თანამშრომლობით, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი პირებისთვის ჩატარდა ონლაინ-ტრენინგი – „არჩევნები და უსაფრთხოება“.

ონლაინ-კურსი შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ელექტრონული სწავლების პლატფორმის მეშვეობით, ორი დღე გრძელდებოდა და მასში სამინისტროს 879 თანამშრომელი მონაწილეობდა.

ტრენინგს, რომლის მიზანი იყო საარჩევნო თემატიკაზე სამართალდამცველების ცოდნის გაღრმავება და ცნობიერების ამაღლება, სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ წარმომადგენლები უძღვებოდნენ.

სწავლების მონაწილეები, წინასაარჩევნო პერიოდში და კენჭისყრის დღეს, საარჩევნო პროცესის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რისკების იდენტიფიცირების, პრევენციული ღონისძიებებისა და დარღვევებზე რეაგირების მექანიზმების შესახებ საკანონმდებლო რეგულაციებს გაეცნენ. ტრენინგში მონაწილე პოლიციელები ასევე გაეცნენ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებას და აღნიშნულ ბრძანებაზე თანდართულ ინსტრუქციებს, რომელთა თანახმადაც, საქართველოს რეგიონებში, პოლიციის დეპარტამენტების სამოქმედო ტერიტორიებზე შეიქმნება სამართალდარღვევების პრევენციისა და მათზე რეაგირებისთვის პასუხისმგებელი ჯგუფები. ამასთან, განსაზღვრულია პოლიციელის მიერ პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპის მკაცრად დაცვის ვალდებულება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიამ ბრალდებული პირის ბრალდებულად ცნობა ... [illegible]

პოლიციამ თბილისში, ვერაზე მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ინტენსიური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 2021 წლის 15 სექტემბერს, თბილისში, ანჯაფარიძის ქუჩაზე მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნეს.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2000 წელს დაბადებული ა.ჭ. და 1999 წელს დაბადებული გ.კ., 1999 წელს დაბადებული ნ.კ.-ს მკვლელობის განზრახვით, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით მოქმედებდნენ. კერძოდ, მიმდინარე წლის 15 სექტემბერს, აღნიშნული პირები ნაქირავები ავტომანქანით თბილისში, ვერიკო ანჯაფარიძის ქუჩაზე მივიდნენ და ნ.კ.-ს ჩაუსაფრდნენ.

საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებებით, ასევე დადგინდა, რომ ა.ჭ.-მ, ნ.კ.-ს მიმართ, ცეცხლსასროლი იარაღიდან 10-ზე მეტი გასროლა განახორციელა და შემთხვევის ადგილიდან გ.კ.-სთან ერთად, ნაქირავები ავტომანქანით მიიმალა.

სხეულზე მიყენებული დაზიანებებით ნ.კ. საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

ა.ჭ.-სა და გ.კ.-ს ადგილსამყოფელის დადგენისა და მათი დაკავების მიზნით ტარდება კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებები.

პოლიციამ ბრალდებული ... [illegible]

პოლიციამ აჭარაში, ნარკოდანაშაულისთვის ხუთი პირი დააკავა, მათ შორის, ნარკორეალიზატორი, ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკი

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ნარკოდანაშაულისთვის ხუთი პირი დააკავეს, მათ შორის, ერთ-ერთი ნარკორეალიზატორია.

სამართალდამცველების მიერ, ქობულეთსა და ბათუმში ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, დაკავებულები არიან უცხო ქვეყნების მოქალაქეები: 1974 წელს დაბადებული თ.დ., 1993 წელს დაბადებული ბ.ა., 1989 წელს დაბადებული ვ.კ., ამავე წელს დაბადებული ო.პ და საქართველოს მოქალაქე, 1999 წელს დაბადებული ა.გ.

სამართალდამცველებმა ბ.ა., ბათუმში, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ იგი ნარკოტიკული საშუალებების უკანონო რეალიზაციას ახდენდა. ბ.ა.-ს პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია მის მიერ ნარკორეალიზაციის შედეგად მიღებული ფული – 8000 ლარზე მეტი და 44 აბი „სუბოქსინი“.

პოლიციამ ბრალდებული თ.დ. ქობულეთის მუნიციპალიტეტში დააკავა. მისი პირადი ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოღებულია სამ შეკვრად დაფასოებული, „მეტამფეტამინის“ შემცველი ნარკოტიკი. დაკავებულს ბრალი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში ედება.

რაც შეეხება წარსულში ნასამართლევ ა.გ.-ს, იგი პოლიციამ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ბათუმში დააკავა. მისი პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოღებულია 10 შეკვრად დაფასოებული, ნარკოტიკული საშუალება „ალფა პვპ“-ს შემცველი ნივთიერება.

სამართალდამცველებმა ნარკოდანაშაულისთვის, ბათუმში დააკავეს ვ.კ. და ო.პ., რომელთა პირადი და დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოღებულია 247 შეკვრა ნარკოტიკული საშუალება, მათ შორის, „ალფა-პვპ“.

გამოძიებით დადგინდა, რომ ვ.კ. და ო.პ., ნარკოტიკულ საშუალებებს შემდგომი რეალიზაციის მიზნით, სხვადასხვა ადგილზე, სპეციალურად შერჩეულ სამალავებში ათავსებდნენ.

დანაშაულები 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ძებნილი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით ძებნილი, 1994 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ბ.ღ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნულმა პირმა, მიმდინარე წლის 29 მაისს, თბილისში, უზნაძის ქუჩაზე, „აფხაზეთის განათლების ცენტრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ცივი იარაღის გამოყენებით, სხეულზე ჭრილობები მიაყენა 1999 წელს დაბადებულ ლ.ს.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებული პირის იდენტიფიცირება მალევე მოახდინეს, მიმდინარე წლის 31 მაისს, ბ.ღ.-ს ბრალი დაუსწრებლად წარუდგინეს. 2 ივნისს კი, მოსამართლის განჩინებისა და პროკურორის დადგენილების საფუძველზე, ბ.ღ. ძებნილად გამოცხადდა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შემდეგ, თბილისში დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 19-108-ე მუხლით გრძელდება, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს და 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

დაკავებული ბ.ღ. პენიტენციურ დაწესებულებაშია მოთავსებული.

პოლიციამ თბილისში ინტერნეტით ნარკოტიკების გასაღების ფაქტი აღკვეთა – დაკავებულია ერთი პირი, ამოღებულია ნარკოტიკი „ალფა პვპ“

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უცხო ქვეყნის მოქალაქე, 1988 წელს დაბადებული რ.ვ. ნარკოტიკული დანაშაულისთვის დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ჩართული იყო ინტერნეტით ნარკოტიკების რეალიზაციის სქემაში. კერძოდ, მან უკანონოდ შეძენილი ნარკოტიკული საშუალება „ალფა პვპ“-ის შემცველი ნარკოტიკი, შემდგომი გასაღების მიზნით, ნაძალადევის რაიონში, სხვადასხვა ადგილზე განათავსა და მათი ადგილმდებარეობის ფოტოგადაღება განახორციელა.

სამართალდამცველებმა თბილისში, ბრალდებულის პირადი და დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ასევე, საგამოძიებო ექსპერიმენტისას, რ.ვ.-ის მიერ სარეალიზაციოდ გამზადებული, „ალფა პვპ“–ს შემცველი, ნახევარ კილოზე მეტი ნარკოტიკული ნივთიერება ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით მიმდინარეობს.

ნონა გაფრინდაშვილის სარჩელში მთავარი დამნაშავე, შესაძლოა, გარი კასპაროვი აღმოჩნდეს

Netflix-მა ფილმის – „ლაზიერის გამბიტი“ გადაღება ისე დაასრულა, წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ საერთაშორისო სკანდალში გაეხვეოდა. სერიალი 2020 წელს გამოვიდა და დღემდე პოპულარულია. ერთ-ერთი მთავარი გმირი ქართველი და მსოფლიო ლეგენდის, ნონა გაფრინდაშვილის პროტოტიპია. სწორედ მის ისტორიასთან აქვს პრეტენზია ლეგენდარულ მოჭადრაკეს.

ფილმში მოვლენები 1950-იან წლებში ვითარდება. ნიჭიერი ამერიკელი გოგონა ჭადრაკის დიდოსტატებს ერთმანეთის მიყოლებით ამარცხებს. ბოლო სერიაში კი ის ჩადის საბჭოთა კავშირში და ეთამაშება მთავარ მეტოქეს, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონ ბორგოვს, რომელსაც რეალურ ცხოვრებაში ერთი, კონკრეტული პროტოტიპი არ ჰყავს. პარტიის დასაწყისში, კადრში გაიელვებს ნონა გაფრინდაშვილის პერსონაჟი. ის დარბაზში სხვა მაყურებლებს შორის ზის, ჭადრაკის კომენტატორი კი ამბობს:

„ერთადერთი, რაც უჩვეულოა, მისი სქესია, მაგრამ რუსეთში არც ეს არის უნიკალური, აქ არის ნონა გაფრინდაშვილი, თუმცა ის ქალთა შორის არის მსოფლიო ჩემპიონი და მამაკაცს არასდროს დაპირისპირებია“.

სწორედ ამან გააღიზიანა ქართველი დიდოსტატი. **„იქ გამოგონილი ფიგურაა ცენტრში და მერე უცებ ნამდვილი ადამიანი შემოჰყავთ, ჩემი სახით. ეს შეცდომაც არ იყო. მწერალი, ვისაც ეს წიგნი აქვს დაწერილი და რომლის მიხედვითაც ფილმი გადაიღეს, ყველაფერს სწორად წერს. წერს, რომ მამაკაცებს ვეთამაშებოდი. მართლა ადრეული ასაკიდან ვთამაშობდი მათთან, სანამ პირველ საერთაშორისო ტურნირში გავიდოდი, მანამდეც. პირველმა მივიღე მამაკაცთა შორის დიდოსტატის წოდება. ისეთი შესანიშნავი პარტიები მაქვს მოგებული დიდოსტატებისთვის! ამ დროს, სერიალში ამბობენ, რომ მამაკაცებთან არ მითამაშია“,** – ეს სიტყვები გაფრინდაშვილმა რადიო „თავისუფლებას“ უთხრა.

სარჩელში გარკვევით წერია, რომ Netflix-მა განზრახ იცრუა გაფრინდაშვილის მიღწევების შესახებ, იაფფასიანი და ცინიკური მიზნით, რათა ხაზი გაესვა დრამისთვის, რომ თითქოს გამოგონილმა გმირმა მიაღწია იმას, რაც არცერთ ქალს არ მიუღწევია მანამდე, გაფრინდაშვილის ჩათვლით.

ახლა კი მთავარი. ძალიან დიდია იმის შანსი, რომ ამ ყველაფერში დამნაშავე მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მოჭადრაკედ აღიარებული, გარი კასპაროვი აღმოჩნდეს. საქმე ის გახლავთ, რომ როცა მსგავსი შინაარსის ფილმებსა თუ სერიალებს იღებენ, Netflix-ის მსგავსი დიდი ტელესტუდიები კონსულტანტებად იმ სფეროდან, რომლის გარშემოც სიუჟეტის გადაღებას აპირებენ, საუკეთესოებს არჩევენ. ასე მოხდა ამჯერადაც და მათი მთავარი კონსულტანტი, სწორედ კასპაროვი იყო. ჰოდა, ახლა ქალბატონი ნონა არა მარტო მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვს და საერთაშორისო კომპანიას 5 მილიონ დოლარს ედავება, არამედ, შეცდომის გასწორებასა და სიმართლის თქმასაც ელოდება.

„Netflix-ი უდიდეს პატივს სცემს ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს და მის ბრწყინვალე კარიერას, მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ ამ ბრალდებებს არანაირი საფუძველი არ აქვს და სასამართლოში თავს მტკიცედ დავიცავთ“, – ეს უკვე ტელეკომპანიის პრეს-სპიკერის განცხადებაა და დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

იყო თუ არა მამარდაშვილის შეცდომა საბედისწერო

20 სექტემბერს, ესპანური „ვალენსია“ მადრიდის „რეალს“ მასპინძლობდა. მთავარი კითხვა, რაც ქართველ გულშემატკივარს აწუხებდა, ის გახლდათ, დააყენებდა თუ არა მასპინძელთა თავკაცი, მსოფლიოს საუკეთესო გუნდის წინააღმდეგ კარში, 20 წლის გიორგი მამარდაშვილს? ძირითად შემადგენლობაში ახალგაზრდა მეკარის ხილვამ ყველა გაგვახარა და ეს სიხარული 86-ე წუთამდე გაგრძელდა. ვალენსიელები მატჩს იგებდნენ, შემდეგ ერთი გოლი გაუშვეს, მატჩის მიწურულს კი მეორე და ეს მეორე ბურთი ქართველი მეკარის შეცდომას მოჰყვა. შედეგად, „ვალენსიამ“ გამარჯვება და 3 ქულა ხელიდან გაუშვა.

22 სექტემბერს, „ვალენსიას“ არანაკლებ მნიშვნელოვანი შეხვედრა ელის. გუნდი სტუმრად „სევილიას“ ეთამაშება და თუ კარში მამარდაშვილი აღარ ჩადგება და მის ადგილს ჰოლანდიელი სილესენი დაიკავებს, ჩვენებურს ძირითადში დაბრუნება ძალიან გაუჭირდება. რაც არ უნდა იყოს, წლებია, სილესენი პრიმერაში თამაშობს და თან ჰოლანდიის ნაკრების მეკარეა. იყო თუ არა მამარდაშვილის შეცდომა საბედისწერო, სწორედ 22-ში გავიგებთ.

მესი შოკშია – ის შეცვალეს

საფრანგეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში, „პარი სენ ჟერმენი“ მთავარ მეტოქეს, „ლიონს“ მასპინძლობდა და 0:1-ს აგებდა კიდეც, თუმცა საბოლოო ჯამში, მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე მოუგო, მაგრამ მთავარი ეს ნამდვილად არ ყოფილა. მთავარი ის გახლდათ, რაც მატჩის 76-ე წუთზე მოხდა – მთავარმა მწვრთნელმა, მაურიციო პოჩეტინომ მოედნიდან ლიონელ მესი გაიყვანა და მის ნაცვლად, მინდორზე, ჰაკიმი შეუშვა. არგენტინელი ვარსკვლავის გაოგნებული სახე ფოტორეპორტიორებმაც აღბეჭდეს და მესის ვინ ჩივის, მთელი გუნდი და გულშემატკივრები პირდაღებულები იყურებოდნენ. მოედნიდდან გასვლისას, ლეომ მწვრთნელს ხელი არ ჩამოართვა.

ბოლოს როდის იყო, ჯანმრთელი მესი მოედნიდან გაეყვანათ, ვერავინ გაიხსენა, პოჩეტინომ კი გაბედა და ეს გააკეთა. არ გამორიცხოთ, ამ ამბავს გაგრძელება მოჰყვეს. ყოველ შემთხვევაში, მესიმ ოფიციალური ახსნა-განმარტება მოითხოვა, რა არ მოეწონა მწვრთნელს და ამ განმარტებას თუ ვერ მიიღებს, მაშინ ბოდიშს ითხოვს. ისე, შეგახსენებთ, რომ „ბარსელონაში“ თამაშის დროს, არაერთი ფეხბურთელი ამბობდა, მწვრთნელი იმას აკეთებს, რასაც მესი იტყვისო და როგორც ჩანს, ფრანგულ კლუბში ასე აღარ იქნება.

გორგოძემ ზედიზედ მეორე ტურნირი მოიგო

ქართველმა ჩოგბურთელმა, ეკატერინე გორგოძემ წყვილთა თანრიგში ზედიზედ მეორე ტურნირი მოიგო. ერთი კვირის წინ, 29 წლის ქართველმა, გერმანიის ქალაქ კარლსრუეში, 115-ათასიან შეჯიბრზე, რუმინელ ირინა ბარასთან ერთად იმარჯვა, ამჯერად კი, წარმატებას ვალენსიაში მიაღწია.

ესპანეთში გამართული ტურნირის საპრიზო ფონდი 80 ათასი დოლარი იყო, გორგოძე ბელგიელ ისალინ ბონავენტურესთან ერთად თამაშობდა და ჩემპიონობისთვის ოთხი გამარჯვება ეყო. შეგახსენებთ, რომ 932 ქულით, გორგოძეს მსოფლიო წყვილთა რეიტინგში 114-ე ადგილი უკავია, ამ წარმატების შემდეგ კი, კლასიფიკაციაში კიდევ უფრო დაწინაურდება.

მატერაციმ ახსნა, რა უთხრა ზიდანს

ალბათ, არ არსებობს ფეხბურთის გულშემატკივარი, რომელსაც მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალში მომხდარი ინციდენტი არ ახსოვს. საფრანგეთის ნაკრების კაპიტანმა, ზინედინ ზიდანმა იტალიელთა მცველს, მარკო მატერაცის მკერდში თავი ისე ჩაარტყა, ეს უკანასკნელი მოედანზე კარგა ხანს ეგდო. ზიდანი გააძევეს და საბოლოოდ, სწორედ ლიდერის არყოფნის გამო წააგეს ფრანგებმა მუნდიალის ფინალი. ძალიან, ძალიან ბევრი ითქვა და დაიწერა, რა უთხრა მარკომ ისეთი ზიზუს, რომ მან ფინალშიც კი, ნერვები ვერ მოთოკა. ამის შესახებ ვეტერანმა მცველმა იტალიურ მედიასთანი-საუბრა და რაც მთავარია, წყენა არ დამალა.

„იმ მატჩში, ზიდანს მაისურზე ხშირად ვქაჩავდი და მან მითხრა, რომ თუ მაისური მინდოდა, მატჩის შემდეგ მისი მიღება შემეძლო. მე კი ვუთხარი, რომ მისი და მერჩივნა. გავბრაზდი, როცა ზიდანს მხარი ყველა ფრანგმა და იტალიელმა დაუჭირა. მათ ამ ქცევისთვის განმსაჯეს, როცა მათ იმ მიწისთვის უნდა ეკოცნათ, რომელზეც მე დავდიოდი. მუნდიალის ფინალში გავიტანე ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი და მათი ლიდერი თამაშიდან გამოვთიშე, მაგრამ მადლიერების ნაცვლად, მხოლოდ კრიტიკის ნაკადი მივიღე“, – ამბობს მატერაცი და... ყველა თანხმდება, რომ იტალიამ იმ შეხვედრაში, საფრანგეთი სწორედ იმის გამო დაამარცხა, რომ მსაჯმა მოედნიდან ზიდანი გააძევა.

გააჩერეთ ლევანდოვსკი!

2014 წელს, პოლონელი ფორვარდი, რობერტ ლევანდოვსკი „დორტმუნდიდან“ მიუნხენის „ბაიერნში“ გადავიდა. იმის მიუხედავად, რომ რობერტს ცუდი სეზონი არ ჰქონდა, მაინც ვერავინ იფიქრებდა, რომ ის „რეკორდმაისტერის“ ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო იქნებოდა და საოცრებებს ჩაიდენდა. თავად განსაჯეთ – 2014 წლიდან დღემდე, 33 წლის ფორვარდმა ყველა ტურნირზე, „ბაიერნის“ რიგებში, 336 მატჩში მიიღო მონაწილეობა, 305 გოლი გაიტანა და 65 საგოლე გადაცემა შეასრულა.

ახალი რეკორდი კი პოლონელმა გასულ უქმეებზე დაამყარა. მიუნხენურმა გრანდმა საკუთარ მოედანზე „ბოხუმს“ უმასპინძლა და 7:0 გაანადგურა. შვიდიდან ერთი გოლი ლევანდოვსკიმაც გაიტანა და ახალი რეკორდი დაამყარა. მან ბუნდესლიგაში, საშინაო მატჩებში ზედიზედ მეცამეტე შეხვედრაში გაიტანა, რაც აბსოლუტური რეკორდია. მსგავსი შედეგი არასდროს, არცერთ სხვა ფეხბურთელს არ ჰქონია. ისიც ვთქვათ, რომ მიმდინარე სეზონში, ბუნდესლიგის ეგიდით, ლევანდოვსკიმ 5 მატჩში უკვე 7 გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავას ერთპიროვნულად ლიდერობს.

ალექსანდრე ჭავჭავაძე

გოგჩა

გოგჩა, ტბა ვრცელი, ხმოვანებით ზღვისა მბაძავი,
ოდესმე ზვირთთა აღქაფებით ჰღელავს მრისხანედ;
ზოგჯერ, ვით ბროლი გულ-უბრყვილო, წმინდა, უძ-
რავი,
თვის შორის ჰხატავს ცისა ლაჟვარდს და მთათა მწვა-
ნეთ.
მაგრამ ნაქცევნი მისთა კიდეთ ძაძით მმოსველნი,
საგლოვო ნაშთნი შენობათა კვლავ ეროვანთა,
სად ჰყვავებულან დიდებულად ქალაქნი ვრცელნი
და სად დღეს ვჰხედავთ ოდენ ბუთა და ნატამალთა, –
ჭმუნვათა თვისთა მნახველთაცა აზიარებენ
უდაბურება, მჩუმარება, არა-რაობა.
თვალსა და გულსა კაცისასა სევდით ავსებენ,
და უნებლიეთ წარმოდგება ოხვრით ეს გრძნობა:
აჰა, პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი.
აჰა, ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო,
აჰა, ჩვენისა მომავლისაც ნამდვილი ხატი;
მხოლოდ აწმყოზე რას დაბმულხარ, ხედავ ბრმობილო!
ესე კამარა ძლივ საცნობო ყოფილ ტაძარად,
სად კვლავ მეფენი მოწიწებით იდრეკდნენ მუხლთა,
სად ღვთის დიდება მორწმუნეთა ესმოდათ მტკბარად,
და ცისა მიმართ გრგვინვიდიან ხმანი ფსალმუნთა, –
დღეს ეს ნაქცევი, სახიერად მაჩრდილობელი,
ჰხედავს თვის ქვეშე დამჩოქველად ოდენ პირუტყვთა,
ზოგჯერ ნადირთა, ზოგჯერ მხეცთა, და ხან წარმვლე-
ლი
მუნ შეაფარებს საქონელთა, შორით ზიდულთა!
ეს გროვა ქვათა სახე შლილის ოთხკუთხედისა
ადგილ არს, სადა სავაჭრონი მდიდრად წყობილან;
სომეხნი, მხნენი ხელოვანნი მომგებლობისა,
პირსა ქვეყნისას ამა საქმით ადრივ ცნობილან.
მაშინ მათ შორის ხშირ ყოფილა ქურურთა მქონე
არა-თუ ვერცხლით, ნდობითაცა ყოვლად მდიდარნი.
აწ მტვრად აღგვილან იგი ძალი და იგი ღონე;
მათთა განთქმულთა შეძლებათა წარშლიან კვალნი!
მიხედე ამა ვრცელსა ვაკეს ქვა-ყრილსა ბნელად,
კვლავ ასპარეზსა, სად ჰქონიათ ტაიჭთა სრბოლა,
ჩოგნით ტაცება ჭაბუკ-მხედართ გამოსაცდელად,
შუბთა ტრიალი, ჯირითთ ტყორცნა და ისართ სროლა.
ერთგზის ესეცა ქვანი შავნი, დღეს დახავსილნი,
ურთიერთთანა კავშირობით ამაღლებულან;
მკუთვნელნი მათნი, ბედნიერნი და კმაყოფილნი,
ოდესმე მათში განცხრომილან და განშვებულან.
აქაცა მჯდარა ძალი მაღალს ტახტსა ამაყად,
წყალობათა და რისხვის ფრქვევით მმართველი ერთა;
აქაც უღრღნიათ შურსა, მტრობას გულები ხარბად;
ტრფიალნი აქაც შემსჭვალვიან კვლავ ერთმანეთთა.
რავდენთ ბანოვანთ შვენებანი ახლად მშლილობნი
ჭავლის სიწმინდეს მიუზიდავს ნაპირს ამ ტბისას;
ვარდნი, ზამბახნი და მიხაკნი, და გიშრის მწყობრნი
რავდენგზის ტურფად გარდუღია სარკესა წყლისას.
რავდენგზის მთვარეს, თავ-მომწონეს მათთან შთა-
ხედვით,
უგრძნვია თვისი ჩაგრულ-ყოფა და მოღრუბლვილა!
მაგრამ რა?!. დროსა მსრველის ცელით, ყოვლთა წარ-
წყმედით,
ციურთა მჯობი მშვენებლობაც სხვათებრ მოსთვლილა!

გუთნის დედა

მშვიდობით, ხოდაბუნო, მშვენიერო და კარგო,
ამას იქით ვეღარ გხნავ, ასე უნდა დაგკარგო,
ცხენი დამზანტებია დრო მრავალ-გამოვლილი,
გდია თავ ჩამოგდებით ჩუთის წევით მოღლილი.
კვლავ მასც ჰქონდა ერთი დრო რომ რამდენსმე დღი-
ურსა.
ერთის შებმით მოჰხნევდა, არ გაიბერტყდა ყურსა.
ახლა გინდ ათი სახრეც კაცმა ზედ დაამტვრიოს
მგონია ერთი კვალიც რიგზე ვერ გააკვლიოს.
ნეტავი მას დროს, ცხენო, რომ ყელმოღერებული,
კუნტრუშით აბრუნებდი ბელტებს განხურვებული,
ახლა ასე მგონია, რაგინდ თავი აწყვიტო,
ბაწრითაც რომ დაგაბა, ისიც ვეღარ ასწყვიტო.
უწინ მწვე არ ვიტყოდი, ეს მიწა მაგარია,
ჩემთვის მაშინ სწორ იყო ველი, მთა და ბარია,
თუ გონებაზე ვიყავ, მაშინვე შევაბემდი
ჩემსა ჩუთს და სიმღერით ყამირსაც ლბილებრ ვხნევდი.
ზოგი მიწა მტკიცეა, ზოგი ხმელი, ქვიანი,
ზოგს ხირხატს ეძახიან, ზოგი არის წყლიანი,
მაგრამ სულ ტყუვილია, ადგილით რა იქმნება,
თუ მხვნელი თითონ ვარგობს, ყველგან ხლტომით
იხვნება.
ვინ დასდევდა ახოსა ეკლიანს, ძეძვიანსა,
ყველგან ვხნევდი და ვმკიდი ნაყოფს ბარაქიანსა,
მაგრამ ახლა სიბერემ მეც გამაწყო არჩევას,
ატყევებულთ ნახნავთა ვეღარ უბედ გარღვევას.
თუ ადგილი არ მომწონს ვჯავრობ, ვშფოთავ, ვღო-
ნდები,
მაგრამ ლბილთ ხოდაბუნთა კვალად ისევ ვეწყობი.
და იმათაც ასეთთა, რომ აბრეშუმებრ ბალახს
კრძალვით ძლივ გაებედვნოსთ თავის ჩენა იმ ალაგს.
ეჰ, ნეტა რაღად მინდა რჩევა ალაგებისა,
რადგანც ღონე არა მაქვს არც ხვნის, არცა თესვისა,
ჭაბუკო მეგუთნენო! თქვენც ხართ, ვიყავ მე ვითა.
ამისთვის შემიბრალეთ ცრემლისა დათხევითა;
და თქვენ, ხოდაბუნებო, ჩემს მოხუცებულს ცხენსა,
ბალახის მოძოვებით მაინც სცემდეთ ნუგეშსა.
თქვენს ხვნაზე ხელის ამღე მხოლოდ ჭვრეტით ვიხარებ
და თქვენს მწვანეზე სრბოლით გულის წყლულს და-
ვიამებ.

გული წამართვი

გული წამართვი ცნობითურთ, მითხარ, ნაცვალი მომე რა?
ვეღარ გავძელი უშენოდ, გაყრისა სევდა მომერა.
დამწვი და წყალი არ მომეც – დამწვარსა გულსა მომერა:
უვარდოდ წალკოტისათვის თვალნი რისათვის მომე-
რა?!

დიდმარხვაში

მარხულნო, მანამ ცხონდებით,
ნეტა, ქარებით რათ კვდებით!
ლობიო ღვინით დაარჩეთ,
თორემ აქავე წაწყმდებით!

დუგა

1

სოფლის მიმნდობთა ბოლო აქვთ შხამად,
ლხინი, შექცევა თვალისა წამად.

2

არა ერთხელ სიჭაბუკე დაუთრთვილავს სიბერესა.
არა ერთხელ ბედის დილა შეუცვლია შავ ღამესა.

3

გვედრი, თვით მიხვდე, – მიკვირს, ცნობა მეძნელებიან,
რასაცა მარად თვალნი ჩემნი გეუბნებიან.

4

შენთვით ხელობა თუ ვინ მიზრახოს,
რაბამათ შერცხვეს, თუ თვალით გნახოს.

5

თუ დიდი ლხენა ან ჭმუნვა გვამიზეზებდეს სიკვდილსა,
ვითღა რჩეს სული მოყვსისა, თან მხლესა ანუ შორ-
ქმნილსა.

6

სამოთხის შვება რამ მაცნობა, – მითხრაცა ენამ,
იმასთან ყოფნამ, მისმან ჭვრეტამ და მისმან სმენამ.

7

კვლავ მარად ჩემსა სურვილსა იმედი წინ უძღოდა,
აწ სურვა გულსა კვლაებრ სწვამს, მაგრამ ვარ უიმე-
დოდა.

8

ვინ იცის ჩემნი ტანჯვანი ბნელი დღისა თუ ღამისა,
ტრფობისა კიდე რა შესწამს? მიზეზიცა ვსთქვა ამისა.

9

ოდენ ხმა შენი მესმოდეს, ოდეს შენს სახეს ვხედვიდე,
ესე რომ მწყურდეს ამისთვის რას ვგმობდე, ან რას
ვცოდვიდე!

10

ვინც გიხილოს, ინატვრიდეს კვლავცა გნახოს, კვლავცა
გნახოს.
გნახოს ცნობას ისურვიდეს და რა გიცნას შენთვის
ახოს.

ედემს რგულსა

ედემს რგულსა საროს მაშორვა ბედმან,
აროდეს ნუგეშს მცა მასთან დაზმითა.
მიმუხთლა სოფელმან რისხვითა მხედმან,
აწ ხმეული მშთარ-ვარ სურვილის-სმითა.
ლალ-ბროლსა შერევნია შეთხზულად,
იაგუნდს ჰყავნ მარგალიტნი შეცულად.
როს განაპის, მჭვრეტს იქმს განლიგებულად,
აღავსებს მის ბაგეთ თვისის ქებითა.
ეკაზმინ სამოდ წარბნი მოხრილნი,
მელნის ტბათ გარემოს არს ზღვანი გრილნი;
მათცა გარ მოზღუდვენ ჰინდთ ჯარნი ყრილნი,
ჰკოდენ მჭვრეტთა გულსა ისართ პირ ხმითა.
ნათელსა ჰსცემს მრჩობლი ბროლის ფიცარსა,
ზილფნი აშვენებენ ყელს საფიცარსა;
ვეშურვ რაყიფს მისს სიახლეს ვინც არსა.
გლახ მოწყლულ მაქვს გული წყვდიადსა ბმითა!
ერთი იგი ვნახე ლახვარ ჭურვილი,
მიჯნურთ გულთ მოსრვისა აქვნდა სურვილი.
მეც მხვდა მისგან წყლული, მექმნა ურვილი,
აწ, ენაო, რა გეწამლოს ჭირთ თქმითა!

ართრიტს „ვაქცინით“ შეებრძოლებიან

ცოტა ხნის წინ, მეცნიერებმა ართროზით დაავადებული ადამიანები დააიმედეს – სპეციალური ვაქცინა შექმნეს, რომელიც ართრიტით დაავადებულებს ამ სენისგან იხსნის. დიდ ბრიტანეთში, ოსტეოართროზით, დაახლოებით, 9 მილიონი ადამიანი იტანჯება, აშშ-ში – 30 მილიონი. დღემდე ამ დაავადების საწინააღმდეგო წამალი არ შეუქმნიათ. რევმატოლოგები ართრიტს 21-ე საუკუნის დასაწყისის ეპიდემიადაც კი მიიჩნევენ.

მკვლევარებმა ოქსფორდის უნივერსიტეტიდან, შეიმუშავეს ვაქცინა, რომელიც ტკივილის წყაროს – ნერვების ზრდის ფაქტორს (NGF) ბლოკავს. ჩატარებულ კვლევებს დამაიმედებელი შედეგები მოჰყვა – ვაქცინა იმუნურ სისტემას ამუშავებს, ის იწყებს ანტისხეულების გამომუშავებას, რომლებიც უტევენ NGF-ს. პრეპარატი მღრღნელებზე გამოსცადეს და მან მნიშვნელოვნად შეუმსუბუქა ცხოველებს ტკივილი.

ტურისტებს ციხეში ჩაჯდომას სთავაზობენ



დიდ ბრიტანეთში, ტურისტებს ერთი დღით პატიმრობას სთავაზობენ. ტური მსურველებს ციხის ცხოვრების „შიგნიდან“ გაცნობას სთავაზობს და სომერსეტის საგრაფოში მდებარე შეპტონ-მოლეტის ციხეში, გისოსებს მიღმა დარჩენას ურჩევს. ამ უჩვეულო ტურის ღირებულება, მხოლოდ 49 გირვანქა სტერლინგია. მასში შედის კვება – პატიმრისთვის გათვალისწინებული მენიუთი და ღამის გათენება ერთადგილიან კამერაში. შეპტონ-მოლეტი ყველაზე ცნობილი ციხეა ნისლიან ალბიონზე. ადრე, აქ ყველაზე საშიშ დამნაშავეებს ამწყვდევდნენ. პირველი პატიმრები მან ჯერ კიდევ 1626 წელს მიიღო. 2013 წელს, დაწესებულება დაიხურა და ის ტურისტულ ცენტრად გადაკეთდა.

ჭრილობებისთვის სუპერ-წებო შექმნეს

დაზიანებული სისხლძარღვებისა და გულზე ჭრილობების წამებში „შეწებება“ შესაძლებელია – დაამტკიცეს ამერიკელმა და ჩინელმა სწავლულებმა. მათ განსაკუთრებული, ჟელესმაგვარი ნაერთი შექმნეს, რომელიც თითქმის მაშინვე აჩერებს სისხლდენას. არც ერთ სხვა მეთოდიკას, რომელსაც დღეს პრაქტიკაში იყენებენ, არ შეუძლია ასე სწრაფად და ეფექტურად შეაჩეროს სისხლი, ჯერ კიდევ მფეთქავ გულში. მკვლევარებმა ცდები ღორებზე ჩაატარეს – მათი გული „დააწებეს“. ორი კვირის შემდეგ კი გახსნეს და გელის ვერავითარი „გაჟონვა“ ან რაიმე, სერიოზული ანთების კვალი ვერ აღმოაჩინეს. ქირურგიული ძაფებით ჭრილობის გაკერვა დიდ დროს მოითხოვს, სუპერწებო კი მეტად მოხერხებული და საიმედო საშუალებაა ჭრილობის ნაპირების შესაწებებლად. გელი ორი სახის ბოჭკოსგან – ცილა-კოლაგენისგან და ნახშირწყლებ-გლიკოზამინოგლიკანებისგან შედგება. ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით, გელი პოლიმერულ ძაფებად გადაიქცევა. მკვლევართა თქმით, მასალა აბსოლუტურად უსაფრთხოა ადამიანის ორგანიზმისთვის, ის არა მხოლოდ გულის, არტერიებისა და სისხლძარღვების „დასაკერებლად“ გამოიყენება, არამედ, ნებისმიერი სხვა ჭრილობისთვისაც გამოდგება.

ყველაზე მწარე ღვინო შექმნეს

ესპანურმა კომპანია Gik Live-მა, რომელიც თავისი უჩვეულო ღვინოებითაა ცნობილი, მომხმარებლებს მორიგი ექსკლუზიური სიახლე წარუდგინა. სასმელი, რომელსაც Bastarde უწოდეს, მსოფლიოში ყველაზე მწარე ღვინოა. ის Grenache-ს ჯიშის წითელი ყურძნისა და „ჰაბანეროს“ ჯიშის წიწაკა ჩილისგანაა დამზადებული. თითო ბოთლ ღვინოს, დახლოებით, 125 გრამი წიწაკა ემატება. მწარმოებლების თქმით, მათი მიზანი ისეთი ღვინის შექმნა იყო, რომელსაც მხოლოდ ჭეშმარიტად გამბედავი ადამიანები გასინჯავდნენ. სასმელი შავი ფერის ბოთლებშია ჩამოსხმული და ონლაინ-მაღაზიებში იყიდება. მისი ფასი 11-დან 13 ევრომდეა. კომპანია ამ ღვინის ექსპორტს ისეთ ქვეყნებში აპირებს, სადაც პოპულარულია მწარე კერძები, მაგალითად, ინდოეთში, კორეაში, ვიეტნამსა და მექსიკაში.

შვილებისთვის ყალბ ბიძებსაც ქირაობენ

სამხრეთ კორეაში, სკოლის მოსწავლეების მშობლებმა კუნთებიანი მამაკაცების დაქირავება დაიწყეს, რომელთა მოვალეობაც ბავშვებისთვის სკოლაში გაყოლა და კლასელების ჩაგვრისგან მათი დაცვაა. ასეთ ადამიანებს „ყალბ ბიძებს“ უწოდებენ. ქვეყანაში არსებობენ კომპანიები, რომლებიც მომხმარებლებს სხვადასხვა პაკეტებს სთავაზობენ, რათა მშობლებს ჰქონდეთ გარანტია, რომ მათი შვილები სასწავლო დაწესებულებაში ბულინგის მსხვერპლნი არ გახდებიან.

30-40 წლის კუნთმაგარი „ბიძების“ დღიური მომსახურების ფასი საკმაოდ მაღალია და 450-დან 1790 დოლარამდე მერყეობს. ამ უჩვეულო სერვისის ამოქმედება მშობლების შიშს უკავშირდება – სკოლაში ჩაგვრა ბავშვებზე დიდ გავლენას ახდენს და ზოგჯერ ისინი თვითმკლელობამდეც მიჰყავს. სუიციდი კი, ქვეყანის ახალგაზრდა მოქალაქეების გარდაცვალების ყველაზე გავრცელებული მიზეზია.

სიცხის დამწევი ადამიანის ქცევას ცვლის

ამერიკელმა სწავლულებმა ორეგონისა და ოჰაიოს უნივერსიტეტებიდან, დაადგინეს, რომ სიცხის დამწევი ყველაზე გავრცელებული პრეპარატი – პარაცეტამოლი ჩვენს ქცევას ცვლის. მედიკამენტს, რომელიც პანადოლის, ტაილენოლის ან აცეტამინოფენის სახელებითაცაა ცნობილი და ტკივილაგამაყუჩებელ, თუ სიცხის დამწევ საშუალებად ვიყენებთ, შეუძლია, უფრო რისკიანიც გაგვხადოს. ექსპერიმენტებში 545 მოხალისე მონაწილეობდა, შედეგად, გამოვლინდა, რომ იმ პირებს, რომლებიც პარაცეტამოლის მოქმედების ქვეშ იყვნენ, მარცხის ნაკლებად ეშინოდათ და მეტად რისკიანები იყვნენ. მოხალისეთა მეორე ნაწილი, რომელთაც მხოლოდ პლაცებო მიიღეს, მეტი თავშეკავებულობით გამოირჩეოდა. ასეთივე ეფექტი გამოიკვეთა ჩატარებული გამოკითხვებითაც. სწავლულთა მოსაზრებით, ამის მიზეზი, შესაძლოა, პრეპარატის მიერ, შფოთვის შემცირება იყოს.

სუიციდის სურვილს ცხვირის სპრეი აქრობს

კორონავირუსის პანდემიის დროს, ადამიანებს ფსიქოლოგიურ მომსახურებაზე წვდომა შეეზღუდათ, გაიზარდა სოციალური იზოლაცია და ცხოვრების წესიც ერთფეროვანი გახდა. თუ ამას სამსახურის დაკარგვა, ან ახლობლის გარდაცვალებაც ემატება, ცხადია, დეპრესია ჩნდება. ამის გამო, სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მოსალოდნელია თვითმკვლელობების რიცხვის მკვეთრი ზრდა. პრობლემასთან გასამკლავებლად, კომპანია Johnson & Johnson-მა ცხვირის სპრეი – Spravato გამოუშვა, რომელიც დეპრესიაში მყოფ ადამიანებს სუიციდის სურვილს უქრობს. სპრეი შეიცავს ესკეტამინს, რომელიც საანესთეზიო პრეპარატის – კეტამინის მონათესავე მედიკამენტია, თუმცა მისთვის დამახასიათებელი გვერდითი ეფექტები არ ახასიათებს. თუ ანტიდეპრესანტების უმეტესობა პაციენტის განწყობის ამაღლებას რამდენიმე კვირას ანდომებს, ამ ნაზალური სპრეის საშუალებით, სასურველი შედეგი 24 საათში დგება. ჯერჯერობით, სპრეი მხოლოდ გადაუდებელი დახმარების დაწესებულებებსა და ფსიქიატრიულ კლინიკებში გამოყენებისთვისაა გამიზნული.

ელექტროდები ყავის ნალექიდან

ქიმიკოსებმა ლითიუმ-იონური ბატარეების ელექტროდების შესაქმნელად, ეკოლოგიური და იაფი მეთოდი შემოგვთავაზეს – ისინი მასალად ყავის ნალექს გამოიყენებენ. აკუმულატორებში უარყოფითი ელექტროდი, ხშირად, გრაფიტისგან კეთდება, სწავლულებმა კი მის ნაცვლად, უკვე გამოყენებული ყავის ნალექის გადამუშავება შემოგვთავაზეს, რომელსაც მსოფლიოში წარმოებული ყავის 90% ტოვებს. მისგან მიღებული ელექტროდები უფრო დიდხანს გამოიყენება და რაც მთავარია, ენერგომოხმარებასაც შეამცირებს.

მსუქნებს ჯანსაღად კვებისთვის დააჯილდოებენ

ბრიტანეთის ხელისუფლებამ, მოსახლეობის ჭარბ წონასთან საბრძოლველად გეგმა შეიმუშავა და მსუქან ადამიანებს გარკვეულ შეღავათებს, ბონუსებსა და ფასდაკლებებს შესთავაზებს, თუ ისინი ცხოვრების ჯანსაღ წესს მიმართავენ. ამ ინიციატივის ფარგლებში, სპეციალური აპლიკაციის მეშვეობით, მთავრობა დარეგისტრირებულ ადამიანებს, ხილისა და ბოსტნეულის მიღებაზე გააკონტროლებს. გარდა ამისა, გაკონტროლდება ოჯახის ხარჯები სუპერმარკეტებში და ვისაც მეტი ხილ-ბოსტნეულის შეძენით, კალორიების შემცირება დაუფიქსირდება, ჯილდოს მიიღებს. აპლიკაცია თვალ-ყურს მიადევნებს და დააჯილდოებს მათაც, რომლებიც მეტს ივლიან ფეხით სკოლასა თუ სამსახურში. ნისლიან ალბიონზე ვარაუდობენ, რომ ეს პროგრამა შეძლებს, რამდენიმე წლის განმავლობაში, მოსახლეობაში სიმსუქნის დონე შეამციროს.

ყავის ალტერნატივა დაასახელეს

ყავა ცნობილია, როგორც ბევრი სასარგებლო ნაერთის შემცველი სასმელი, ამავდროულად, მისი მირთმევა ყველასთვის არ შეიძლება. სპეციალისტები გვირჩევენ, ამ გამამხნევებელი სასმელის ალტერნატივა მოვძებნოთ – პროდუქტები, რომლებიც ყავის მსგავსს, აქტიურ ნაერთებს შეიცავენ. მაგალითად, ორი სასარგებლო ნაერთი, რომლებსაც ყავის მარცვლები შეიცავენ, ყავის მჟავა და ქლოროგენის მჟავაა. პირველს შეიცავს ფინიკი, შავი ქლიავი, ზეთისხილი, კარტოფილი, მზესუმზირა, დარიჩინი, კოჭა, ანისი, პიტნა და სხვა. ქლოროგენის მჟავას – შავი ქლიავი, მოცვი, ვაშლი, მსხალი, ატამი... კვლევათა უმრავლესობა გვიჩვენებს, რომ ეს ნაერთები ზემოქმედებას ახდენენ სასიგნალო გზებზე, რომლებიც ხელს უწყობენ ქრონიკული დაავადებების, მათ შორის, სიმსივნის განვითარებასაც. ეს ნაერთები ანეიტრალებენ თავისუფალ რადიკალებს. თაგვებზე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ყავისა და ქლოროგენული მჟავები, ჭამის მერე, სისხლში შაქრის დონის მატებას არ იწვევენ.

საზიზღარი სასმელის გამოფენა გაიხსნა

საზიზღარი საჭმლის მუზეუმში, რომელიც შვედეთში, ქალაქ მალმეში მდებარეობს, ახალი, სამთვიანი გამოფენა გაიხსნა. ამ გამოფენაზე ყველაზე ცუდი, გულმიუსვლელი ალკოჰოლია წარმოდგენილი. უჩვეულო ექსპონატებს შორისაა შოტლანდიური ლუდი 55%-იანი სიმაგრით, რომელიც ციყვის ფიტულიან ბოთლშია ჩამოსხმული. ასევე, ძველი სამხრეთკორეული ღვინო, რომლის ფერმენტაციაც ბავშვის ფეკალიებისა და ბრინჯის გამოყენებით ხდება (მას სამკურნალოდ მიიჩნევდნენ).

გამოფენაზე წარდგენილია ისლანდიური ლუდი ცხვრის შებოლილი ნაკელისგან, ამერიკული ღვინო, რომელიც გადამწიფებული ფორთოხლისგან კეთდება და ციხის ტუალეტშია დადუღებული. ღვინო პერუდან, რომელიც სიმინდის ფქვილისგან მზადდება, ფერმენტაციისას კი ნერწყვი გამოიყენება, ასევე, ბანანებზე დაყენებული ჯინი უგანდიდან და კიდევ ბევრი სხვა უცნაური სასმელი.

„მსოფლიოს მასშტაბით, ადამიანები ცდილობენ, რაიმე სასმელით გამოთვრნენ. ამიტომაც, როცა ალკოჰოლის ნაკლებობას განიცდიან, მეტად გამომგონებლები ხდებიან. ამის დასტურია ჩვენი გამოფენაც“, – ამბობს მუზეუმის დირექტორი, ანდრეას არსენი.

დამთვალიერებლებს საშუალება ეძლევათ, დაყნოსონ ან დააგემოვნონ კიდეც გამოფენაზე წარდგენილი ზოგიერთი სპირტიანი ექსპონატი. მუზეუმში სპეციალური დაფაცაა, რომელზეც აღნიშნავენ, რამდენი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ამ ყველაფრის შემდეგ, დამთვალიერებელს გული აერია – ამჟამად, დაფაზე ამგვარი, 98 შემთხვევაა დაფიქსირებული.

„ჭკვიანი“ პირბადე LG-გან

ბოლო პერიოდში, ვირუსისგან დამცავი პირბადე საზოგადოების განუყოფელ ატრიბუტად იქცა. არაერთი საინტერესო და უჩვეულო ეგზემპლარიც ვიხილეთ, თუმცა კომპანია LG-ის ჰაერის გამწმენდმა რესპირატორმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მოწყობილობას PuriCare Wearable Air Purifier უწოდეს. მას ორი ვენტილატორი, ორი ფილტრი, რესპირატორული სენსორი და სუნთქვის სიხშირის გამზომი აქვს ჩამონტაჟებული. პირბადის ავტორების თქმით, მოწყობილობას ერთი დამუხტვა 8 საათს ჰყოფნის. ჯერჯერობით, „ჭკვიანი“ რესპირატორის ღირებულება უცნობია, თუმცა ვარაუდობენ, რომ მისმა ფასმა 250 დოლარს არ უნდა გადააჭარბოს.

ძროხებს ტუალეტში სიარული ასწავლეს

გერმანელმა სწავლულებმა დაამტკიცეს, რომ სრულებით შესაძლებელია, ძროხებს სპეციალური ტუალეტით სარგებლობა ასწავლო. დუმერსდორფის შინაური ცხოველების ინსტიტუტის სპეციალისტებმა, ცხოველებს მათთვის მოწყობილი საპირფარეშოთი სარგებლობა ასწავლეს – ამ ექსპერიმენტში 16 პირუტყვი მონაწილეობდა. ისინი ტუალეტში რიგრიგობით მიჰყავდათ და მოშარდვის შემთხვევაში, საკვებს აძლევდნენ. თუ ძროხები ტუალეტით დამოუკიდებლად სარგებლობდნენ, ისინი საკვებს კვლავ იღებდნენ, მაგრამ თუ სხვაგან მოშარდავდნენ, 3 წამის განმავლობაში, წყლით წუწავდნენ.

ამგვარი, ათდღიანი „სწავლების“ შემდეგ, 16-დან 11 ძროხა, 75% შემთხვევაში, დამოუკიდებლად მიდიოდა საპირფარეშოში. მკვლევარების თქმით, ეს სერიოზული ნაბიჯი იქნება გლობალურ დათბობასთან ბრძოლაში, რადგან ძროხის შარდი გრუნტთან რეაქციაში შედის და სათბურის ეფექტის მქონე აზოტის ქვეჟანგი წარმოიქმნება. ატმოსფეროში მოხვედრილი გაზების 10%-მდე, სწორედ საქონლის ფერმების „დამსახურებაა“. ასეთი ტუალეტების დანერგვით კი, ატმოსფეროში ამიაკის მოხვედრა 56%-ით შემცირდება.

ინსულტმა შიმშილის გრძნობა გაუქრო

კანადაში პირველი შემთხვევა დაფიქსირდა ისტორიაში, როცა ინსულტგადატანილ ქალს, ერთი წლის განმავლობაში, შიმშილის გრძნობა საერთოდ გაუქრა. 28 წლის ორსული, საავადმყოფოში, სხეულის მარჯვენა ნაწილის დამბლითა და მეტყველების დარღვევით მოხვდა. მას იშემიური ინსულტის დიაგნოზი დაუსვეს. მკურნალობის შემდეგ, სახლში გაწერილი პაციენტი მხოლოდ აცეტილსალიცილის მჟავას (ასპირინი) იღებდა. 6 თვის შემდეგ, მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა, თუმცა ქალმა აღმოაჩინა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში, შიმშილის გრძნობა არ გასჩენია და საკვებს არ იღებდა. ექიმებმა პაციენტი ისევ გამოიკვლიეს და აღმოაჩინეს, რომ კალორიების უკმარისობის მიუხედავად, ქალი არანაირი ფიზიოლოგიურ სიგნალს არ იღებდა იმის შესახებ, რომ საჭირო იყო საკვების მიღება. შიმშილის გრძნობა მას ინსულტიდან მხოლოდ 15 თვის შემდეგ დაუბრუნდა. მედიკოსების თქმით, ასეთი სიმპტომის მიზეზი ტვინის იმ ნაწილის დაზიანება გახდა, რომელიც პასუხისმგებელია გემოებზე, მადასა და ენერგეტიკულ ბალანსზე.

ჩვილს ენა დაუპატარავეს

ახალშობილს, რომელიც აშშ-ში, ოკლაჰომას შტატში დაიბადა, ცოტა ხნის წინ, ენის დაპატარავების ოპერაცია ჩაუტარდა. ბავშვი გენეტიკური ანომალიით დაიბადა – მისი ენა ნორმალურ ზომაზე ორჯერ მეტი იყო. მაკროგლოსია – ასეთი დიაგნოზი დაუსვეს პატარას, რაც ბეკვიტ-ვიდემანის სინდრომითაა გამოწვეული. ამ დროს ენა იმდენად დიდია, რომ ის პირში არ ეტევა და ბავშვს სუნთქვას, ჭამასა და ურთიერთობასაც უშლიდა. მშობლებს ურჩიეს, რაც შეიძლება მალე გაეკეთებინათ მისთვის ოპერაცია. შედეგად, ქირურგებმა ჩვილს თითქმის ორჯერ დაუპატარავეს ენა. ის ახლა თავიდან სწავლობს ჭამას, დალევას და ურთიერთობასაც.

წლის გავლენიანი ადამიანები დაასახელეს

ამერიკულმა გამოცემა Time-მა, 2021 წლის ყველაზე გავლენიანი 100 ადამიანის სია გამოაქვეყნა. მასში სუსტი სქესის 53 წარმომადგენელი და 47 მამაკაცია. რეიტინგის მონაწილენი, ტრადიციულად, რამდენიმე კატეგორიაში გაანაწილეს. „კერპების“ კატეგორიაში შევიდნენ პრინცი ჰარი და მეგან მარკლი, მომღერლები ბრიტნი სპირსი და დოლი პარტონი, იაპონელი ჩოგბურთელი ნაომი საკა, რუსი პოლიტიკოსი ალექსეი ნავალნი. „პიონერებში“ მოხვდნენ მომღერალი ბილი აილიში, ამერიკელი ტანმოვარჯიშე სუნისა ლი, კანადელი დიზაინერი ავრორა ჯეიმსი, თურქი ეკონომისტი ფათიხ ბიროლი და სხვები. „ტიტანებში“ აღმოჩნდნენ Apple-ის მეთაური ტიმ კუკი, ბენინელი მომღერალი ანჟელიკა კიჯო და რეპერი ტიმბალენდი.

ხელოვანებს შორის, ყველაზე გავლენიანებად დაასახელეს ქეით უინსლეტი და სკარლეტ იოჰანსონი, მსახიობი დენიელ კალუია და მხატვარი ბარბარა კრიუგერი. „ლიდერების“ კატეგორიაში შევიდნენ აშშ-ს პრეზიდენტი ჯო ბაიდენი და ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისი, ექს-პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, ჩინეთის მეთაური სი ძინპინი, „თალიბანის“ ლიდერი აბდულ განი ბარადარი. „ნოვატორებად“ კი ილონ მასკი, Nvidia-ს პრეზიდენტი ჯენსენ ხუანგი და იაპონელი არქიტექტორი კენგო კუმა დასახელდნენ. ჟურნალის მკითხველთა აზრით, წლის ყველაზე გავლენიანი ადამიანი, არც მეტი, არც ნაკლები, მომღერალი ბრიტნი სპირსია.

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲔᲑᲡ ᲦᲕᲘᲜᲝᲡ ᲩᲣᲥᲜᲘᲐᲜ

შვეიცარიის ქალაქ ფრინურში, ადგილობივი ხელისუფლება ყოველ მცხოვრებს, რომელსაც 100 წელი შეუსრულდება, საჩუქრად 100 ბოთლ ღვინოს გადასცემს. 2000 წლის შემდეგ, იუბილარებს საჩუქრის არჩევის უფლება მიენიჭათ – ღვინის ნაცვლად, შეუძლიათ 1500 ფრანკი გაიღონ ქველმოქმედებისთვის, ან ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისთვის. გასულ წელს, 27-მა დღეგრძელმა ადამიანმა უკვე მიიღო მთავრობისგან ასეთი საჩუქარი: ხუთმა მათგანმა ქველმოქმედება აირჩია, ორმა – სასაჩუქრე სერთიფიკატი, დანარჩენებმა – ალკოჰოლური სასმელი, რათა საუკუნოვანი დაბადების დღე ახლობლებისა და მეგობრების წრეში აღენიშნათ.

ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲡ

გამოცემა Time Out-ის წარმომადგენლებმა მთელ მსოფლიოში, ქალაქების მცხოვრები 27 ათასი ადამიანი გამოკითხეს და შედეგად მსოფლიოს საუკეთესო ქალაქების რეიტინგი შეადგინეს. კრიტერიუმებში, რომლებითაც საუკეთესოები გამოავლინეს, კულტურული ღირსშესანიშნაობები, რესტორნები, ღამის ცხოვრება, მოსახლეობის სიმჭიდროვე პანდემიისას, ეკოლოგიური ინიციატივები და მოსახლეობის კეთილგანწყობა შედიოდა. რეიტინგის სათავეში სან-ფრანცისკო აღმოჩნდა. საუკეთესოთა ათულში შევიდნენ, ასევე, ამსტერდამი, მანჩესტერი, კოპენჰაგენი, „დიდი ვაშლი“ ანუ ნიუ-იორკი, მონრეალი, პრაღა, თელ-ავივი, პორტუ და ტოკიო.

ნამცხვრები თუნუქის ქილებში

ტოკიოში, დესერტების მაღაზია Parfaiteria Bel, ტკბილეულის მოყვარულებს ფერად-ფერად და ფენებად ჩაწყობილ ფხვიერ ნაცხვრებს სათვაზობს, გამჭვირვალე თუნუქის ქილებით. დღესდღეობით, მაღაზიაში ასარჩევად სამი სახის დესერტია – მარწყვის, მოცვისა და ციტრუსის. თითოეული ქილის ფასი 900 იენიდან იწყება. ყოველი ქილა ლამაზადაა შევსებული ნაღებით, ბისკვიტითა და ხილის ჯემით. ახალი მარწყვითა და ათქვეფილი ნაღებით გაფორმებული ნამცხვარი ქილაში, მსურველებს 1100 იენი დაუჯდებათ.

სწრაფი კვების აკრძალვა სურთ

ნიდერლანდებში, შესაძლოა, ფასტფუდი აიკრძალოს. სიმსუქნესთან ბრძოლის ფარგლებში, ქვეყნის სულ ცოტა, ხუთმა ქალაქმა მხარი დაუჭირა ამ ინიციატივას. სწრაფი კვების რესტორნების დაკეტვის მომხრეები არიან ამსტერდამის, როტერდამის, ჰაგის, უტრეხტისა და ედის ხელისუფლებაში. ამავე დროს, ჩინოვნიკები აღიარებენ, რომ პრობლემებს თავს ვერ აარიდებენ, რადგან ფასტფუდის ობიექტებში პროდუქტების შეტანის აკრძალვის საკითხი მეტად რთული იქნება, გარემოსდაცვითი კანონიდან გამომდინარე. როგორც ადგილობრივი მედია წერს, კვება – ეს ადამიანის ინდივიდუალური არჩევანია და მუნიციპალიტეტებსა და ხელისუფლებას არ აქვს უფლება, ჩაერიოს ამ პროცესში. თუმცა ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტრო საკითხის შესწავლას გეგმავს, რათა რეგიონებს უფრო მეტი უფლებები მიეცეთ და საკვები გარემოს გაჯანსაღებაში დახმარება შეძლონ.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲛᲐᲘᲐ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲐᲫᲔ (599) 62-88-77

ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – �გᲘᲝᲠ�გᲘ ᲚᲝᲛᲡᲐᲫᲔ

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.